

# განახლებადი ენერჯის შესახებ ინვესტორთა გზამკვლევი



პუბლიკაცია გამოიცა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით მისი პროექტის "USAID ენერჯეტიკის პროგრამის" ფარგლებში. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს USAID-ის პოზიციას.

# აკრონიმები

<b>გზშ</b>	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
<b>ესპო</b>	ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი / ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი
<b>ლარი</b>	ქართული ლარი
<b>GIS</b>	გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემა
<b>სამეპკი</b>	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
<b>სსე</b>	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
<b>კვ</b>	კილოვოლტი
<b>კვტ</b>	კილოვატი
<b>სსიპ</b>	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
<b>მ</b>	მეტრი
<b>მ³</b>	კუბური მეტრი
<b>მგვტ</b>	მეგავატი
<b>სააგენტო</b>	საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო
<b>USAID</b>	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო

# სარჩევი

პროცესები .....	2
პროექტის შემუშავების პროცესის მოკლე შინაარსობრივი მიმოხილვა .....	5
პროექტის განხორციელების ეტაპები .....	6
პროექტის განხორციელების ეტაპები (შენიშვნა-ფორმა-თქვირთვა) .....	7
ეტაპი „ა“ – პროექტის წინასწარი შემუშავება .....	8
ეტაპი „ბ“ – პროექტის შემუშავება .....	13
ეტაპი „ბ“ – პროექტის შემუშავება .....	14
“გ“, „დ“ და „ე“ ეტაპები – პროექტის განხორციელება, ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა და დემონტაჟი .....	28
ეტაპი „გ“ - პროექტის განხორციელება .....	29
„დ“ ეტაპი - ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა .....	39
„ე“ ეტაპი - დემონტაჟი .....	39
ცვალებადი განვითარების მქონე განახლებადი ენერჯის წყაროების .....	40
განვითარება საქართველოში „შენიშვნა-ფორმა - ექსპლუატაცია“ კანონმდებლობის საფუძველზე .....	
ეტაპი „ა“ – წინასწარი შეფუთვა .....	41
„ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ეტაპები – შეფუთვა, განხორციელება, მოვლა-პატრონობა და დემონტაჟი .....	42



# პროექტის შეშუპავების პროცესის მოკლე შემაჯამებელი მიმოხილვა

2018 წლის 4 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო „კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელს განსაზღვრავს, როგორც ხელშეკრულებას საჯარო უწყებას და/ან მუნიციპალიტეტს და კერძო პირს შორის, რომლის საფუძველზეც კერძო პირი იღებს მნიშვნელოვან ფინანსურ, ტექნიკურ და საოპერაციო რისკებს პროექტის შემუშავების, დაფინანსების, აშენების და ექსპლუატაციის პროცესში. პირდაპირი მოლაპარაკების გზით კერძო პარტნიორის შერჩევის შესაძლებლობას კანონი მხოლოდ ენერგეტიკის სექტორში უშვებს.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:


- გრძელვადიანობა – საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების მინიმალური ვადა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით, მაგრამ არანაკლებ 5 წლით;
- ღირებულება – 2020 წლის 1 ივლისამდე, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 5 000 000 ლარისა, ხოლო 2020 წლის 1 ივლისიდან, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით;
- კერძო პარტნიორის მიერ საჯარო მომსახურების გაწევა ან საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა ან/და ოპერირება და მოვლა-პატრონობა;
- საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილება;
- კერძო პარტნიორის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.) დეტალურ ინსტრუქციებს იძლევა საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების იდენტიფიკაციის, ინიცირების, მომზადების, განხორციელების და განხორციელების შემდგომი ეტაპების შესახებ. ამ პროექტებზე აგრეთვე ვრცელდება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონისა“ და მთავრობის შესაბამისი №426 დადგენილების მოთხოვნები.



გარდა ამისა, გენერაციის სფეროში კერძო ინვესტორთა მიერ ინიცირებული ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ, რეგულირდება საქართველოს მთავრობის №515 დადგენილებით „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ (31 ოქტომბერი, 2018 წ.).

ამ გზამკვლევაში დეტალურად არის აღწერილი ყველა ის პროცედურა, რომელიც აუცილებელია „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონის“ მიღების შემდეგ საქართველოში განახლებადი ენერჯის პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის. ინვესტორთა გზამკვლევაში განმარტებულია ყველა არსებული სამართლებრივი დოკუმენტით გათვალისწინებული ნაბიჯები, ინიცირებით დაწყებული დემონტაჟით დამთავრებული, ყველა საჭირო ნებართვის (გარემოს დაცვის, მშენებლობის, ექსპლუატაციის), ვადების, მოსაკრებლების და პროცედურების ჩათვლით.

## პროექტის განხორციელების ეტაპები



# პროექტის განხორციელების ეტაპები (შენაბლობა-ფლობა-ოპერირება)




პირობითი აღნიშვნები:

პროექტი

შთანთხაველადგენილება



## ქაღაპი „ა“ – პროექტის წინასწარი შეშუშავება



პირობითი აღნიშვნები:

- პროექტი
- განცხადება / ჩაბარება
- შეთანხმება/სულუგვარულება

**სააგენტო** - საჯარო-კერძო თანამშრომლობის სააგენტო **ეკონომიკის სამინისტრო** - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
**განეთვარების სამინისტრო** - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



## პროექტის იდენტიფიცირება

### აღწერა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ეკონომიკის სამინისტრო) ან საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო (სააგენტო) ავლენს პოტენციურ პროექტებს, როგორც საკუთარი, ისე კერძო ინვესტორთა ინიციატივით მიწოდებული წინადადებების საფუძველზე. წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკურ შეფასებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და/ან კერძო ინვესტორი ახორციელებს.

**შენიშვნა:** მცირე პროექტების იდენტიფიცირებას და ინიცირებას ახდენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. მცირე პროექტად მიიჩნევა ის პროექტი, რომელიც საჯარო და კერძო თანამშრომლობის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, გარდა პროექტის ღირებულებისა, რომელიც ქვემოთ განსაზღვრულ ზღვრულ ნიშნულზე დაბალია.

**შენიშვნა:** საჯარო და კერძო თანამშრომლობის კონტრაქტის კრიტერიუმებია:

- საჯარო და კერძო თანამშრომლობის კონტრაქტის მინიმალური ვადა არის 5 წელი;
- პროექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 5 მილიონ ლარს (2020 წლის 1 ივლისამდე);
- კერძო პარტნიორის მიერ საჯარო მომსახურების გაწევა ან საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა ან/და ოპერირება და მოვლა-პატრონობა;
- საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილება;
- კერძო პარტნიორის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.

### საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ან სააგენტოს მიერ პოტენციური პროექტის იდენტიფიცირების პროცედურა

პროექტის იდენტიფიცირების ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან სააგენტო საზოგადოებრივ ინტერესებზე დაყრდნობით, ავლენს პოტენციურ პროექტებს ითვალისწინებს რა შემდეგს:

- სახელმწიფო განვითარების გეგმას / სტრატეგიას / სამოქმედო გეგმას;
- მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმას / სტრატეგიას / სამოქმედო გეგმას;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განვითარების გეგმის / სტრატეგიის / სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ მიმართულებებს;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს / საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკის სექტორში გამოვლენილ საჭიროებებს.

**შენიშვნა:** საქართველოში, ენერგეტიკის სექტორში, პოტენციური პროექტის იდენტიფიცირებად არ მიიჩნევა საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში ობიექტის შეტანა და/ან ზემოხსენებული ნუსხის გამოქვეყნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

### კერძო ინვესტორის საინიციატივო შეთავაზების საფუძველზე პროექტის იდენტიფიცირების პროცედურა

კერძო ინვესტორს უფლება აქვს, მოამზადოს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარუდგინოს საინიციატივო შეთავაზება ენერგეტიკის სექტორში კონცესიის თაობაზე. კერძო ინვესტორმა საინიციატივო შეთავაზების ასლი სააგენტოსაც უნდა წარუდგინოს.

**შენიშვნა:** კონცესია ნიშნავს საჯარო და კერძო თანამშრომლობას, რომლის დროსაც კონცესიის ხელშეკრულების საფუძველზე კონცესიონერი მის მიერ გაწეული საჯარო მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურებას პირდაპირ ან ირიბად იღებს საბოლოო მომხმარებლისგან ან საჯარო პარტნიორისა და საბოლოო მომხმარებლისგან და რომლის ფარგლებშიც კონცესიონერი საკუთარ თავზე იღებს მნიშვნელოვან საოპერაციო რისკებს, რომელიც მოიცავს მოთხოვნის რისკებს ან/და მიწოდების რისკებს.

საინიციატივო შეთავაზება ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ იძლეოდეს შემოთავაზებული პროექტის წინასწარი შეფასების საშუალებას, ჩანდეს მისი პოტენციური და საჯარო-კერძო თანამშრომლობის გზით მისი განხორციელების შესაძლებლობა.


	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სააგენტოსთან თანამშრომლობით, განიხილავს წარმოდგენილ წინადადებას და შეისწავლის თუ რამდენად აკმაყოფილებს პროექტი შემდეგ პირობებს:</p> <p>ა. შეესაბამება თუ არა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებებს;</p> <p>ბ. სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ სხვა პროექტებთან შედარებით, რამდენად ღირებული და/ან ინოვაციურია.</p> <p>პროექტის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობის შესაფასებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიძლება მოსთხოვოს კერძო ინიციატორს, წარმოდგინოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და საჯარო პარტნიორისთვის მისაღები ფორმით - პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური აღწერილობა.</p> <p>საინიციატივო შეთავაზება შეიძლება უარყოფილი იყოს წერილობითი ფორმით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- თუ იგი დაკავშირებულია ისეთ პროექტთან, რომლის ფარგლებშიც შერჩევის პროცესი უკვე დაწყებული ან/და გამოცხადებულია;</li> <li>- თუ არ აკმაყოფილებს ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებს;</li> <li>- თუ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის შედეგები არადაკმაყოფილებელია;</li> <li>- თუ პროექტი არ არის ფინანსურად განხორციელებადი ან საჯარო პარტნიორის შესაბამისი თანამონაწილეობის თვალსაზრისით დიდ რისკებთანაა დაკავშირებული - ფინანსების, უზრუნველყოფის გარანტიის ან სხვა ასაღები ვალდებულებების გამო;</li> <li>- თუ შეთავაზებული ძირითადი პირობების შეთანხმების პროექტი არ არის სათანადოდ დაბალანსებული, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემულია უარყოფითი დასკვნა პროექტთან დაკავშირებით და არ არის მონონებელი საქართველოს მთავრობის მიერ.</li> </ul> <p>თუ საინიციატივო შეთავაზება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის მისაღებია, სამინისტრო უზრუნველყოფს ამ წესით გათვალისწინებულ ღონისძიებებს პროექტის ინიცირებისათვის.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო / კერძო ინვესტორი.
<b>მოთხოვნები</b>	<p>საინიციატივო შეთავაზების წარდგენამდე, კერძო ინვესტორს უფლება აქვს განიხილოს და გაცვალოს ინფორმაცია პოტენციური პროექტის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს პროექტში.</p> <p>პროექტის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობის შესაფასებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიძლება მოსთხოვოს კერძო ინიციატორს, წარმოდგინოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და საჯარო პარტნიორისთვის მისაღები ფორმით - პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური აღწერილობა.</p>
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018წ.); „საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ (4 მაისი, 2018 წ.).
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მისადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ არის
<b>ვადები</b>	შეუზღუდავი
<b>სტადია</b>	„ა“ ეტაპის დასაწყისი

**პროექტის ინიცირება – პროექტის კონსტრუქციის ბარათის მომზადება**

<p><b>აღწერა</b></p>	<p>პოტენციური პროექტის იდენტიფიცირების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამზადებს პროექტის კონცეფციის ბარათს.</p> <p>ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევიდან პროექტის კონცეფციის ბარათში შეტანილი უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>პროექტის განხორციელების საჭიროების წინასწარი შეფასება</b></li> </ul> <p>შეფასებაში უნდა დასაბუთდეს, რომ პროექტი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს;</li> <li>- შეესაბამება საჯარო და კერძო თანამშრომლობის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის მიერ „სახელმწიფო განვითარების გეგმაში“ /სტრატეგიაში / სამოქმედო გეგმაში და/ან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განვითარების გეგმაში / სტრატეგიაში / სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ პრიორიტეტებს;</li> <li>- შეესაბამება უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამის სექტორში იდენტიფიცირებულ / გამოვლენილ საჭიროებებს;</li> <li>- ემსახურება საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნის და /ან არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საზოგადოებრივ ინტერესს;</li> <li>- მიზნად ისახავს საჯარო მომსახურების განვითარებას.</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>პროექტის განხორციელების ხარჯების წინასწარი შეფასება</b></li> </ul> <p>ეს შეფასება, როგორც მინიმუმ, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროექტის ზომის/ მასშტაბის, მახასიათებლების შესახებ, ასევე პროექტის განხორციელებისათვის (მათ შორის: მშენებლობის, წლის მანძილზე მოვლა-მოვლა-პატრონობის ან/და ოპერირების) საჭირო ფინანსების შესახებ. პროექტის წინასწარი ღირებულების შეფასებისას, ასევე უნდა განისაზღვროს პროექტის შემოსავლების გენერირების შესაძლებლობა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>პროექტის საჯარო და კერძო თანამშრომლობის გზით განხორციელების წინარე შეფასება</b></li> </ul> <p>შეფასების დროს უნდა განისაზღვროს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სახე (კონცესიური /არაკონცესიური), საჯარო და კერძო პარტნიორების ფუნქციები, უნდა შეფასდეს პროექტის განხორციელების შედეგად მისაღები სარგებელი. აღნიშნულ ეტაპზე ფასდება, აგრეთვე, პროექტთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და განისაზღვრება პროექტის მომზადებისას ჩასატარებელი კვლევები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ფინანსების ხელმისაწვდომობისა და ფისკალური რისკების წინასწარ შეფასება</b></li> </ul> <p>შეფასებისას უნდა განისაზღვროს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოტენციური პროექტის გავლენა საჯარო პარტნიორის/უფლებამოსილი ორგანოს ბიუჯეტზე, პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე. შეძლებისდაგვარად, კერძო პარტნიორისთვის პროექტის განსახორციელებლად მისაღები პირობების შესაქმნელად, უნდა შეფასდეს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ფისკალური რისკებიც.</p>
<p><b>პასუხისმგებელი მხარე</b></p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>
<p><b>მოთხოვნები</b></p>	<p>არ მიესადაგება</p>
<p><b>რეგულაციები</b></p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება № 426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.); „საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ (4 მაისი, 2018 წ.).</p>
<p><b>მოქმედების ვადა</b></p>	<p>არ მიესადაგება</p>
<p><b>მოსაკრებლები</b></p>	<p>არ არის</p>
<p><b>ვადები</b></p>	<p>შუუბლუდავი</p>
<p><b>სტადია</b></p>	<p>“ა“ ეტაპი - პროექტის იდენტიფიცირებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების შემდეგ.</p>


<b>სქემის განხორციელება – პროექტის წარდგენა და გადაწყვეტილების მიღება</b>	
<b>აღწერა</b>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარუდგენს პროექტის კონცეფციის ბარათს სააგენტოს და ფინანსთა სამინისტროს, რეკომენდაციებისა და დასკვნისთვის.</p> <p>პროექტის კონცეფციის ბარათის სააგენტოსთვის წარდგენიდან ერთ თვეში სააგენტომ უნდა მოამზადოს რეკომენდაციები, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ - დასკვნა პროექტის კონცეფციის ბარათის შესახებ.</p> <p>ფინანსთა სამინისტროსა და სააგენტოს უფლება აქვთ მოსთხოვოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეიტანოს შესწორებები პროექტის კონცეფციის ბარათში და ხელმეორედ წარადგინოს ის.</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო პროექტის კონცეფციას, ფინანსთა სამინისტროს დასკვნასთან და სააგენტოს რეკომენდაციებთან ერთად, წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროექტის კონცეფციის მოწონების, პროექტის კონცეფციის მოწონებაზე უარის თქმის ან პროექტის კონცეფციის გადამუშავების შესახებ, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- პროექტის სტრატეგიული ან საზოგადოებრივი მნიშვნელობა;</li> <li>- პროექტის ეკონომიკური გავლენის წინასწარი შეფასება;</li> <li>- პროექტის განსახორციელებლად საჭარო ფინანსების ხელმისაწვდომობა.</li> </ul> <p>საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის კონცეფციის მოწონების შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებს, სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.</p> <p><b>შენიშვნა:</b> მცირე პროექტების შემთხვევაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო პროექტის კონცეფციის ბარათს წარუდგენს მხოლოდ სააგენტოს და ფინანსთა სამინისტროს.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>მოთხოვნები</b>	არ მიესადაგება
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.); საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ (4 მაისი, 2018 წ.).
<b>მოქმედების პერიოდი</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ არის
<b>ვადები</b>	ერთი თვე, სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს მიერ რეკომენდაციებისა და დასკვნის შესამუშავებლად.
<b>სტადია</b>	"ა" ეტაპი - პროექტის კონცეფციის ბარათის მომზადების შემდეგ

# ქაჯი „ბ“ – პროექტის შარუშაგება



**სააგენტო** - საჯარო-კერძო თანამშრომლობის სააგენტო **ეკონომიკის სამინისტრო** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო **გარემოს დაცვის სამინისტრო** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## ეტაპი „ბ“ – პროექტის შემუშავება



პირობითი აღნიშვნები:

პროცესი
განხილვა / ჩაბარება
შეთანხმება/ხელშეკრულება

ეკონომიკის სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

**პროექტის მომზადება – ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა**

**აღწერა**

პროექტის შემუშავების ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან კერძო ინვესტორი ახორციელებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას.

**ა) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას - ფინანსურ, ტექნიკურ და ეკონომიკურ ანალიზს რომლითაც (ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით) შეფასდება:

- ა. პროექტის ღირებულება;
- ბ. მისი განხორციელების მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური შედეგები;
- გ. სახელმწიფოს ფინანსური თანამონაწილეობის შემთხვევაში პროექტის განხორციელებისთვის უფლებამოსილი ორგანოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
- დ. პროექტის განხორციელების პროცესში გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება და შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შესამცირებლად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მიზანია დაადასტუროს და განავითაროს წინარე ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების თითოეული ასპექტი, რის საფუძველზეც მზადდება დაზუსტებული ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შეფასება, ფისკალური რისკების შეფასება, ასევე ხარისხის ფასთან თანაფარდობის შეფასება.

პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა უნდა მოიცავდეს პროექტის სოციალურ-ეკონომიკური შედეგის ხარისხობრივ შეფასებას, ასევე ხარჯების სარგებლიანობის ანალიზს, რომელიც ადგენს და შეძლებისდაგვარად, რაოდენობრივად და ფულად გამოსახულებაში ზომავს პროექტის ზეგავლენას (პროექტის საზოგადოებრივ ხარჯსა და სარგებელს, ალტერნატიული ღირებულების შეფასების საფუძველზე) საზოგადოებაზე, მის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, მათ შორის, დასაქმებაზე გავლენას და ადასტურებს:

- ა. პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელ დადებით ხარისხობრივ სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ. პროექტის დადებით წმინდა სარგებელს (სარგებელი შესაბამისი ხარჯების გამორიცხვით), მათ შორის, რაოდენობრივად შეფასებულ დადებით სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტებს;
- გ. შეთავაზებული ტარიფის/მომსახურების ღირებულების/ფასის/ მოსაკრებლის, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობას, იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო პარტნიორი საბოლოო მომხმარებლისგან იღებს ანაზღაურებას.

**შენიშვნა:** ენერჯეტიკის პროექტები, რომელთა დადგენილი სიძლიავრე აღემატება 100 მგვტ-ს, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა უნდა მომზადდეს დამოუკიდებელი მხარის მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად მომზადებულ, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რომელსაც, არსებობის შემთხვევაში, უნდა დაერთოს ამავე კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა უნდა მოიცავდეს პროექტის ფინანსურ მოდელს, რომელიც მხედველობაში მიიღებს და გაითვალისწინებს შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ყველა ასპექტს.

პროექტის სიცოცხლისუნარიანობა დადებითად შეფასდება, თუ ანალიმი გვიჩვენებს, რომ:

- ა. პროექტის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელია;
- ბ. არსებობს ტექნიკური კვლევა, რომლითაც დგინდება, რომ პროექტი მზად არის განხორციელებისთვის;
- გ. საჭარო პარტნიორის ან/და საბოლოო მომხმარებლების მიერ გასანევი ხარჯი შესაბამისობაშია პროექტის განხორციელების შედეგად მისაღები საჭარო მომსახურებით ან შექმნილი/გაუმჯობესებული საჭარო ინფრასტრუქტურით მისაღებ სარგებელთან;
- დ. პროექტის ფასთან თანაფარდობა მისაღებია.

საჭარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მომგებიანობა დადებითად შეფასდება, თუ კვლევის შედეგად დადგინდება, რომ:

- ა. პროექტი კომერციული თვალსაზრისით განხორციელებადია;
- ბ. არსებობს კერძო პარტნიორისა და კერძო დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა;
- გ. მხარეთა შორის რისკების განაწილება სავარაუდოდ მისაღებია პოტენციური კერძო პარტნიორისთვის.

	<p><b>შენიშვნა:</b> ენერგეტიკის სექტორში, მცირე პროექტის შემთხვევაში, შესაძლო ფისკალური რისკების შეფასების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტრომ ან სააგენტომ შეიძლება მოსთხოვოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის განხორციელება. მცირე პროექტის შემთხვევაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კონტრაქტის პროექტი განსახილველად უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.</p> <p><b>ბ) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადება კერძო ინვესტორის მიერ</b></p> <p>პროექტის კონცეფციის საქართველოს მთავრობის მიერ მოწონების შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია, მოსთხოვოს ინიციატორს (როგორც პირდაპირი მოლაპარაკებების, ასევე სხვა შემთხვევაში), თავისი ხარჯით მოამზადოს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და სხვა კვლევები.</p> <p>ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა უნდა მოიცავდეს პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების შეფასებას, თუ პროექტი ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროექტის ფინანსურ მოდელს და ფინანსების ხელმისაწვდომობის შეფასებას, თუ ხდება მისი თანადაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისევე, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს. კერძო ინვესტორმა განხორციელებული კვლევა უნდა წარუდგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.</p>
<p><b>პასუხისმგებელი მხარე</b></p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / კერძო ინვესტორი.</p>
<p><b>მოთხოვნები</b></p>	<p>მოთხოვნის შემთხვევაში, კერძო ინვესტორმა უნდა წარმოადგინოს კონცესიის ძირითადი პირობების თაობაზე შეთანხმების პროექტი. კერძო ინვესტორმა უნდა წარმოადგინოს ასევე დეტალური ხარჯთაღრიცხვა იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც გაღებულ იქნა ან გაღებული იქნება პროექტთან დაკავშირებით საბოლოო წინადადების შემოტანამდე (შიდა საინჟინრო, სამართლებრივი და ფინანსური ხარჯების გარდა).</p>
<p><b>რეგულაციები</b></p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.); საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ (4 მაისი, 2018 წ.).</p>
<p><b>მოქმედების ვადა</b></p>	<p>არ მისაღებია</p>
<p><b>მოსაკრებლები</b></p>	<p>არ არის</p>
<p><b>ვადები</b></p>	<p>შეუზღუდავი</p>
<p><b>სტადია</b></p>	<p>„ბ“ ეტაპი - „ბ“ ფაზის პირველი ეტაპი იწყება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა პროექტის კონცეფციის ბარათს დაამტკიცებს.</p>



**პროექტის მომზადება – ბარამოზა ზემოქმედების შეფასება / ბარამოსდაცვითი გადაწყვეტილება**

<p><b>აღწერა</b></p>	<p>თუ პროექტი ითვალისწინებს ელექტროენერჯის გენერაციას ქარის ენერჯის, ზღვის ტალღების ენერჯის ან ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენებით, ხოლო მისი დადგმული სიმძლავრე არის 2 მგვტ ან მეტი, კერძო ინვესტორმა უნდა მიმართოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი სკრინინგის მიზნით. ეს პროცედურა, ადგენს დაგეგმილი პროექტი ექვემდებარება თუ არა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.</p> <p><b>1. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცედურა</b></p> <p>პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე კერძო ინვესტორმა თხოვნით უნდა მიმართოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის სკრინინგის პროცედურის ჩატარების მიზნით. კერძო ინვესტორმა სკრინინგის მოთხოვნის განაცხადი უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით და მასში შეტანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იმ ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება, რომელსაც განმცხადებელმა მიმართა;</li> <li>• განმცხადებლის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და მისამართი;</li> <li>• მოთხოვნა;</li> <li>• განაცხადის ჩაბარების თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა;</li> <li>• განაცხადზე დართული დოკუმენტების სია;</li> <li>• მოკლე ინფორმაცია დაგეგმილი პროექტის შესახებ;</li> <li>• მონაცემები პროექტის მახასიათებლების, მდებარეობის და პოტენციური ზემოქმედების ხასიათის შესახებ.</li> </ul> <p>სკრინინგის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციიდან არანაკლებ 10 და არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ა. პროექტის მახასიათებლები;</li> <li>ბ. პროექტის ადგილმდებარეობა;</li> <li>გ. პოტენციური ზემოქმედების ხასიათი.</li> </ol> <p><b>შენიშვნა:</b> თუ სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დადგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.</p> <p>სკრინინგის პროცედურის განხორციელების შემდეგ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი იღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ა. პროექტის განხორციელების შედეგად დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები;</li> <li>ბ. პროექტის განხორციელება არ არის გონივრული მისი მახასიათებლების, მოცულობის, მდებარეობის, ზემოქმედების ხასიათის და/ან რისკების გამო;</li> <li>გ. არსებობს სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამოირიცხავს.</li> </ol> <p><b>2. სკოპინგის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა</b></p> <p>თუ სკრინინგის პროცედურის შედეგად დადგინდა, რომ პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება, კერძო ინვესტორი ვალდებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს განცხადება სკოპინგის შესახებ, სკოპინგის ანგარიშთან ერთად.</p> <p>სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. დაგეგმილი პროექტისა და შესაძლო ალტერნატივების მოკლე აღწერას;</li> <li>2. ინფორმაციას დაგეგმილი პროექტის ადგილმდებარეობის შესახებ, „გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის“ (GIS) კოორდინატების მითითებით (shape-ფაილებთან ერთად);</li> <li>3. ინფორმაციას შემოთავაზებული პროექტის ტექნიკური სპეციფიკაციების შესახებ (სიმძლავრე, სიგრძე, ტერიტორია, გამოუმუშავება და ა.შ.);</li> <li>4. ინფორმაციას პოტენციური ზემოქმედების ტიპებისა და მნიშვნელობის შესახებ;</li> <li>5. ინფორმაციას დასკულ ტერიტორიებზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ;</li> <li>6. ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;</li> </ol>
----------------------	--

7. ინფორმაციას ჩასატარებელი საბაზისო კითხვარებისა და კვლევების შესახებ;
8. ინფორმაცია გზშ-ს ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ;
9. ინფორმაციას გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების შესახებ;
10. საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულ დოკუმენტაციას, თუ პროექტის ფარგლებში ხორციელდება ნარჩენებისგან განმედა;
11. ინფორმაციას გარემოზე ზემოქმედების არეალში მოხვედრილი მოსახლეობის შესახებ;
12. ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და ობიექტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

სკოპინგის შესახებ განცხადების რეგისტრაციიდან არანაკლებ 26 და არაუმეტეს 30 დღის ვადაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომელიც მტკიცდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

სკოპინგის დასკვნა მოიცავს "სკოპინგის ანგარიში" მოცემული ინფორმაციის შეფასებას და განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად მოსაპოვებელ და გასაანალიზებელ ინფორმაციას და გზშ ანგარიშში ამ ინფორმაციის ასახვის მეთოდებს.

**შენიშვნა:** თუ სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 (ორი) წლის ვადაში კერძო ინვესტორი ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას გარემოსდაცვითი შეფასების დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ცხადდება ძალადაკარგულად.

სკოპინგის პროცედურის დასრულების შემდეგ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ:

- ა. პროექტის განხორციელების შედეგად დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- ბ. პროექტის განხორციელება არ არის გონივრული მისი მახასიათებლების, მოცულობის, მდებარეობის, ზემოქმედების ხასიათის და/ან რისკების გამო;
- გ. არსებობს სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილება, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს.

### 3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცედურა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შემდეგ, უნდა შემუშავდეს შემოთავაზებული პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში. ამ ანგარიშში მოცემული უნდა იყოს:

1. პროექტისა და მისი მახასიათებლების აღწერა, კერძოდ:
  - პროექტის ადგილმდებარეობის აღწერა, „გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის“ (GIS) კოორდინატების შიტითებით (shape-ფაილებთან ერთად);
  - დაგეგმილი პროექტისთვის არჩეული ადგილმდებარეობისა და გამოყენებული ტექნოლოგიების ალტერნატიული ვარიანტების დასაბუთება;
  - ტექნოლოგიური პროცესის აღწერა, დანადგარების სიმძლავრის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით;
  - გარემოს არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვანი ასპექტების აღწერა და პროექტის განხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერა, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;
  - შემოთავაზებული პროექტის შედეგად შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის ზემოქმედების აღწერა: მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, ფაუნასა და ფლორაზე, პაბიტატებზე, ეკოსისტემებზე), ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მინაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებებით, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), წყალზე (მათ შორის, ჰიდრო მორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა და ხარისხი), ჰაერზე, კლიმატზე (მათ შორის, სათბური გაზების ემისია), მატერიალურ ფასეულობებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და ლანდშაფტზე;
  - პროექტის განხორციელებით გამოწვეულ პირდაპირ და არაპირდაპირ, კუმულაციურ, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიან და გრძელვადიან, დროებითი და მუდმივი, პოზიტიური და ნეგატიური შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე, ფაუნასა და ფლორაზე, პაბიტატებზე, ეკოსისტემებზე, ნიადაგზე, მინაზე, წყალზე, ჰაერზე, ლანდშაფტზე, კლიმატზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე და მატერიალურ ფასეულობებზე;

2. შემოთავაზებული პროექტის განხორციელებით გამოწვეული შესაძლო ავარიების ალბათობის დადგენა და მოსალოდნელი შედეგების შეფასება;
3. იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან/და შერბილებისათვის. ეს აღწერა უნდა მოიცავდეს როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზებს;
4. გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონვას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
5. როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზებზე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების აღწერა, რაც მოიცავს რისკების ხასიათისა და ალბათობის აღწერას და მათი შედეგების დეტალურ შეფასებას;
6. პროექტის შეწყვეტის შემთხვევაში საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის გზებისა და საშუალებების აღწერა;
7. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების აღწერას, რაც გამოწვეულია პროექტის მოწყვლადობით მნიშვნელოვანი ავარიებისა და კატასტროფების რისკების მიმართ;
8. სკოპინგის პროცედურის დროს საზოგადოების ინფორმირების საშუალებებისა და მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების შეფასების აღწერა;
9. ინფორმაცია კვლევების მეთოდოლოგიისა და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროებზე მითითება;
10. ინფორმაცია გზმ ანგარიშის შედგენისას იდენტიფიცირებული გაურკვევლობების და არასაკმარისი ცოდნის შესახებ;
11. მოკლე არატექნიკური რეზიუმე, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
12. გზმ ანგარიშის შედგენისას გამოყენებული მეთოდებსა და წყაროების დეტალური სია.

გზმ ანგარიშს თან უნდა ახლდეს შემდეგი დანართები:

- ა. გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა;
- ბ. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმა;
- გ. იმ კონსულტანტის დასახელება და იურიდიული მისამართი, რომელიც მონაწილეობდა გზმ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- დ. პროექტის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა GIS კოორდინატების მითითებით (shape ფაილთან ერთად), სადაც მოცემული იქნება დაგეგმილი პროექტის განხორციელების ადგილი, დროებითი ნაგებობები, კომუნალური სისტემები და ზემოქმედების მომხდენი კომპონენტები;
- ე. კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მენარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში სადამფუძნებლო დოკუმენტის დამონწელები ასლები.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად კერძო ინვესტორმა განცხადებით უნდა მიმართოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, წერილობითი ფორმით. განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები და /ან მონაცემები:

- ა. გზმ-ს ანგარიში;
- ბ. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტები;
- გ. მოთხოვნა ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- დ. კანონმდებლობით დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე. ამ მუხლში მითითებული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად კერძო ინვესტორი ვალდებულია გადაიხადოს მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში გადახდილი მოსაკრებელი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან არანაკლებ 51 და არაუმეტეს 55 დღის ვადაში, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ.

**შენიშვნა:** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. იმ შემთხვევაში თუ კერძო ინვესტორი 5 წლის ვადაში არ დაინიშნავს პროექტს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ძალადაკარგულად ითვლება.

	<p>პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, გადაწყვეტილება მიიღება თუ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>პროექტის განხორციელების შედეგად დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები;</li> <li>პროექტის განხორციელება არ არის გონივრული მისი მახასიათებლების, მოცულობის, მდებარეობის, ზემოქმედების ხასიათის და/ან რისკების გამო;</li> <li>არსებობს სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილება, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს.</li> </ol> <p><b>შენიშვნა:</b> კერძო ინვესტორი უფლებამოსილია ერთი განცხადებით მოითხოვოს ამ კანონით გათვალისწინებულ რამდენიმე საქმიანობაზე ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქმიანობები ერთმანეთთან არსებითად ურთიერთდაკავშირებულია.</p> <p>გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს გზმ-ს ანგარიშის, ექსპერტიზის დასკვნის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტის და საზოგადოების მონაწილეობის შედეგების შესახებ ინფორმაციის განთავსებას ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ხოლო დაინტერესების შემთხვევაში - აღნიშნული დოკუმენტაციის ნაბეჭდი ეგზემპლარების ხელმისაწვდომობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	კერძო ინვესტორი/ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>მოთხოვნები</b>	<p>თუ საქმიანობის განმახორციელებელი 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას კოდექსით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად მიიჩნევა.</p> <p>თუ კერძო ინვესტორი პროექტის განხორციელებას არ დაიწყებს 5 წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ძალადაკარგულად მიიჩნევა.</p>
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, 1 ივნისი 2017 წ.
<b>მოქმედების ვადა</b>	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ძალაშია შეუზღუდავი პერიოდით
<b>მოსაკრებელი</b>	500 ლარი
<b>ვადები</b>	55 დღე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან.
<b>სტადია</b>	„ბ“ ეტაპი – ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადების პარალელურად
<b>პროექტის მომზადება – საჯარო-კერძო თანამშრომლობის მიზანშეწონილობა</b>	
<b>აღწერა</b>	<p>თუ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიიჩნევს, რომ პროექტის განხორციელება მიზანშეწონილია, მან უნდა შეაფასოს და გადაწყვიტოს შესყიდვის რომელი მეთოდი არის უპირატესი ამ კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად. მათ შორის, უნდა შეაფასოს საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიზანშეწონილობა იმ შემთხვევაში, თუ პროექტს აქვს საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმები. აღნიშნული შეფასება, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებთან ერთად, უნდა დაეფუძნოს წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის წინაზე შეფასებას.</p> <p>თუ პროექტი საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ადგენს და ასახულებს პროექტის განხორციელების შესყიდვის მეთოდებს შორის უპირატესობას, კერძოდ, ადგენს, რამდენად ოპტიმალური იქნება პროექტის განხორციელება საჯარო და კერძო თანამშრომლობის (კონცესიური ან არაკონცესიური) გზით, სახელმწიფო შესყიდვასთან შედარებით.</p> <p>თუ უმჯობესია პროექტის საჯარო და კერძო თანამშრომლობის გზით განხორციელება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ადგენს და ასახულებს კონცესიურ და არაკონცესიურ საჯარო და კერძო თანამშრომლობას შორის უპირატესობას ამ კონკრეტული პროექტისათვის.</p>

	<p>ეს დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს ხარისხის ფასთან თანაფარდობის მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელებული ანალიზის შედეგებს.</p> <p>ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულებამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეუძლია წარუდგინოს ის სააგენტოს წინასწარი შეფასებისა და რეკომენდაციებისთვის.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>მოთხოვნები</b>	არ არის
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.).
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ არის
<b>ვადები</b>	შეუზღუდავი
<b>სტადია</b>	„ბ“ ეტაპი - ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადების შემდეგ
<b>პროექტის მომზადება - დასკვნა პროექტის მომზადების შედეგების შესახებ</b>	
<b>აღწერა</b>	<p>დასრულების შემდეგ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, სხვა დამხმარე კვლევებსა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განსახილველად და შესაფასებლად. აღნიშნული დოკუმენტაციის ასლი ასევე წარედგინება სააგენტოს.</p> <p>საბოლოო მოწონების მიზნით საქართველოს მთავრობისთვის პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და შესაბამისი კვლევების წარმოდგენამდე, ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაწეროს დასკვნა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის, სხვა დამხმარე კვლევებსა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნის ასლი ასევე წარედგინება სააგენტოს.</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარადგენს დასკვნას ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და შეთავაზებული პროექტის ფინანსური და ეკონომიკური ელემენტების შესახებ, განსაკუთრებით პირდაპირ და არაპირდაპირ ფისკალურ ვალდებულებებზე. ფისკალური ვალდებულებები მოიცავს ყველა იმ ფისკალურ რისკსა და პირობით ვალდებულებას, გარანტიების ჩათვლით, რომელსაც შეუძლია საჯარო პარტნიორის ან/და მასზე ფინანსურად დამოკიდებული ორგანოს ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა და რომელიც წარმოადგენს ისეთი ფაქტორების შედეგს, როგორებიცაა პროექტთან დაკავშირებული დაფინანსება ან გარანტიების გაცემა. ისინი შეიძლება პირდაპირ იყოს მითითებული პროექტში ან/და გამომდინარეობდეს პროექტის არსიდან ან/და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებიდან.</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გასცემს დასკვნას იმის შესახებ, არის თუ არა პროექტი საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმით განსახორციელებლად მიზანშეწონილი მისი ეკონომიკური და სოციალური ღირებულებიდან და მთლიანი მდგრადობიდან გამომდინარე, საჯარო დაფინანსების ან გარანტიების გათვალისწინებით.</p> <p>ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია დასკვნა მოამზადოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან დოკუმენტების მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო.
<b>მოთხოვნები</b>	არ არის
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.).
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებელი</b>	არ არის

<b>ვადები</b>	შემოთავაზებული პროექტის დოკუმენტაციის მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია მოამზადოს დასკვნა პროექტის ფინანსური და ეკონომიკური კომპონენტების შესახებ.
---------------	---

<b>სტადია</b>	„ბ“ ეტაპი - საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შეფასების შემდეგ
---------------	--

**პროექტის მომზადება – პროექტის მიღება და დამტკიცება**

<b>აღწერა</b>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს მთავრობას წარუდგენს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასა და შესაბამის კვლევებს;</li> <li>2. ფინანსთა სამინისტროს დასკვნას საჯარო და კერძო თანამშრომლობის მომზადების შედეგების შესახებ;</li> <li>3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასკვნას წარმოდგენილი პროექტის კერძო ინვესტორისმიერ განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.</li> </ol> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას პროექტის მოწონების, პროექტის მოწონებაზე უარის თქმის ან პროექტის გადამუშავების (მათ შორის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნის შედეგად გამოვლენილი საკითხების გათვალისწინებით) შესახებ.</p>
---------------	---

<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მთავრობა.
-----------------------------	---

<b>მოთხოვნები</b>	არ არის
-------------------	---------

<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.).
--------------------	--

<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
------------------------	----------------

<b>მოსაკრებლები</b>	არ არის
---------------------	---------

<b>ვადები</b>	საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კერძო ინვესტორის მიერ საინიციატივო შეთავაზების წარმოდგენიდან 120 დღის ვადაში.
---------------	--

<b>სტადია</b>	„ბ“ ეტაპი - პროექტის მომზადების შედეგების შესახებ ფინანსთა სამინისტროს მიერ დასკვნის შემუშავების შემდეგ.
---------------	--

**შერჩევის პროცესი – საკვალიფიკაციო ეტაპი**

<b>აღწერა</b>	<p>შესარჩევი კომისია ამტკიცებს განაცხადს კონცესიონერის შერჩევის პროცესის განზრახულობის შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განაცხადს აქვეყნებს შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატების მიერ საკვალიფიკაციო დოკუმენტების ჩაბარების ვადის დადგომამდე 30 კალენდარული დღით ადრე.</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო კონცესიონერის შერჩევის პროცესის განზრახულობის შესახებ განაცხადს აქვეყნებს თავის ვებგვერდზე სააგენტოს ვებგვერდზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე, ხოლო შესაბამისი ელექტრონული სისტემის დანერგვის შემდეგ - მემოხსენებული ელექტრონული სისტემის საშუალებით.</p> <p>შესარჩევი კომისია, სააგენტოსთან თანამშრომლობით, განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს საჯარო და კერძო თანამშრომლობით პროექტის განსახორციელებლად. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნების პრიორიტეტულობას.</p> <p>სავალდებულოა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები წინასწარ იყოს ცნობილი შერჩევის პროცესის ყველა პოტენციური მონაწილისათვის.</p> <p>შესარჩევი კომისია შერჩევის პროცესის მონაწილეთა კვალიფიკაციას აფასებს საკვალიფიკაციო დოკუმენტაციით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას თითოეული მონაწილის კვალიფიკაციის ან დისკვალიფიკაციის შესახებ.</p>
---------------	---

<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შესარჩევი კომისია.
-----------------------------	--

მოთხოვნები	არ არის
რეგულაციები	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.).
მოქმედების ვადა	არ მისადაგება
მოსაკრებლები	არ არის
ვადები	შეუზღუდავი
სტადია	“ბ” ეტაპი - საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ

**შერჩევის პროცესი – წინადადებაების წარდგენა. მოლაპარაკებები და გამარჯვებული გამოცხადება**

<p><b>აღწერა</b></p>	<p>შესარჩევი კომისია უზრუნველყოფს წინადადების წარსადგენად მიწვევის დოკუმენტაციის დამტკიცებასა და გაგზავნას/ატვირთვას ელექტრონულ სისტემაში (ასეთის შემთხვევაში შემდგომ) იმ პრეტენდენტებისათვის, რომელთაც წარმატებით გადალახეს საკვალიფიკაციო ეტაპი.</p> <p>მოწვეულ პრეტენდენტებს შეუძლიათ წარადგინონ წინადადება/განაცხადი ზემოხსენებული მიწვევით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p><b>შენიშვნა:</b> კერძო ინვესტორს არ აქვს უფლება წარადგინოს ერთზე მეტი განაცხადი ან წინადადება ერთსა და იმავე შერჩევის პროცესისთვის. შერჩევის პროცესის მონაწილეს შეუძლია შეცვალოს განაცხადი ან წინადადება მისი ჩაბარების ბოლო ვადის ამონურვამდე. გამარჯვებულის გამოცხადებამდე ნებისმიერ დროს შერჩევის პროცესის მონაწილეს შეუძლია თავი შეიკავოს შერჩევის პროცესში მონაწილეობისგან. ეს უარი არ ზღუდავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებას მოითხოვოს ფასიანი ქვად აღდგები, საბანკო გარანტიის ჩათვლით.</p> <p>კერძო ინვესტორის მიერ წარდგენილი წინადადება/განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შერჩევის პროცესის წინადადების უზრუნველყოფის გარანტია;</li> <li>2. შესაბამისი ტექნიკური წინადადება/განაცხადი, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველას ან ნაწილს: <ol style="list-style-type: none"> <li>ა. ტექნიკური გადაწყვეტა წინადადების წარსადგენად მიწვევით განსაზღვრული საჯარო მომსახურების უზრუნველსაყოფად;</li> <li>ბ. შეთავაზებული სამუშაოების აღწერა;</li> <li>გ. შეთავაზებული საოპერაციო გადაწყვეტა;</li> <li>დ. მომსახურების, მოთხოვნილი შედეგების უზრუნველსაყოფად საჭირო შესაძლებლობების ჩვენება რაოდენობრივ და ხარისხობრივ გამოხატულებებში;</li> <li>ე. გარემოსდაცვით სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები.</li> </ol> </li> <li>3. შესაბამისი ფინანსური წინადადება/განაცხადი, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველას ან ნაწილს: <ol style="list-style-type: none"> <li>ა. სამშენებლო და საპროექტო საქმიანობის ღირებულება, წლიური ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის ხარჯი, კაპიტალური და ოპერირების და მოვლა-პატრონობის ხარჯი;</li> <li>ბ. შეთავაზებული ფინანსური გადაწყვეტა შესაბამისი მომსახურების უზრუნველსაყოფად;</li> <li>გ. მომსახურების მიწოდების შედეგად მისაღები სავარაუდო შემოსავლები;</li> <li>დ. ტარიფი/მომსახურების ღირებულება/ფასი/მოსაკრებელი საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში;</li> <li>ე. ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა, თუ ასეთი რამ მოსალოდნელია საჯარო ორგანოს მიერ;</li> <li>ვ. განაკვეთი ან მოგების განაწილების გეგმა, რომლის ფარგლებშიც კერძო პარტნიორი ახორციელებს გადახდებს საჯარო პარტნიორისთვის საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების უფლებისთვის;</li> <li>ზ. შეთანხმების ძირითადი პირობები და ვადები, რომლის საფუძველზეც საჯარო ორგანო უნდა მიიღოს ან გადაიხადოს პროდუქციის ღირებულება სრულად ან ნაწილობრივ;</li> <li>თ. პროექტის ერთიანი ფინანსური მაჩვენებლები/შედეგები, პროგნოზირებული ფულადი ნაკადები საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების პერიოდში.</li> </ol> </li> <li>4. პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი სამართლებრივი/კომერციული წინადადება /განაცხადი, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველას ან ნაწილს:</li> </ol>
----------------------	---

- ა. შერჩევაში მონაწილე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- ბ. კერძო პარტიორის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- გ. მთლიანი კონცესიური პროექტის სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ხელშეკრულებას სხვადასხვა მხარეებს შორის;
- დ. პროექტის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
- ე. ხელშეკრულების პროექტზე კომენტარები, თუ ეს ნებადართულია წინადადების წარსადგენად მოწვევის შესახებ დოკუმენტაციის შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინადადების გარანტიის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერჩევის პროცესის მონაწილე:

- ა. გაიხმობს ან შეცვლის წინადადებას, წინადადებათა წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ;
- ბ. უარს იტყვის უფლებამოსილ ორგანოსთან მოლაპარაკებებზე;
- გ. უარს იტყვის, უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებაზე, მას შემდეგ, რაც მისი წინადადება მოწონებული იქნება დადგენილი წესით;
- დ. უარს იტყვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენაზე, მას შემდეგ რაც მისი წინადადება მოწონებული იქნება დადგენილი წესით, ან ხელშეკრულების გაფორმებამდე ვერ შეასრულებს ნებისმიერ სხვა პირობას, რომელიც დადგენილი იყო წინადადების წარდგენის შესახებ მიწვევით;
- ე. ვერ დააკმაყოფილებს ნებისმიერ სხვა პირობას, რომელიც გათვალისწინებული იყო მონაწილის წინადადების წარდგენაზე მიწვევის ან/და გამარჯვებულად გამოვლენის დოკუმენტში წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის გამოხმობის საფუძველად.

გამარჯვებულის ან მოკლესიის კანდიდატის გამოვლენა ხორციელდება წარდგენილი წინადადებების/განაცხადების შეფასების შედეგად. წინადადებების შეფასების კრიტერიუმებსა და წესებს განსაზღვრავს შესარჩევი კომისია, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ შორის, წინადადებების შეფასების კრიტერიუმებად შეიძლება განისაზღვროს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების ვადა, მოთხოვნილი კერძო დაფინანსების ოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს/გასანევი მომსახურების ხარისხი ან/და სხვა კრიტერიუმები ან მათი კომბინაცია.

წინადადების წარდგენის ეტაპზე დასაშვებია როგორც ჭკუფური, ასევე ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება შერჩევის პროცესის მონაწილეებთან შესარჩევი კომისიის მიერ, რაც მითითებული უნდა იყოს წინადადების წარსადგენად მოწვევის დოკუმენტაციაში.

არაუადრეს 5 დღისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მოიწვევს შერჩევის პროცესის მონაწილეებს, მოკლე სიით განსაზღვრულ ან გამარჯვებულ მონაწილესთან ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკების გასამართად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროს განსახილველად უნდა წარუდგინოს შესარჩევი კომისიის მიერ მომზადებული შეფასების ანგარიში და ხელშეკრულების საბოლოო, შეთანხმებული (მოლაპარაკებული) პირობები.

ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უნდა წარუდგინოს თავისი დასკვნა ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების წარდგენას საქართველოს მთავრობისთვის. ხელშეკრულებას თან უნდა ახლდეს ფინანსთა სამინისტროს დასკვნაც.

საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების პირობების მოწონებასა და მის გაფორმებაზე, ან დაუბრუნოს საკითხი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელშეკრულების პროექტში დამატებითი ცვლილებების შეტანის, მათ შორის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნით გათვალისწინებული საკითხების/შენიშვნების საფუძველზე.

თუ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიიჩნევს, რომ შერჩევის პროცესის მონაწილესთან/შერჩევის პროცესში მოკლე სიით განსაზღვრულ ან გამარჯვებულ მონაწილესთან მოლაპარაკების შედეგად შეუძლებელია ხელშეკრულების გაფორმება, სამინისტრომ მასთან მოლაპარაკება უნდა შეწყვიტოს. ამ შემთხვევაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოლაპარაკებებზე უნდა მოიწვიოს შემდგომი საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილე და გამართოს მასთან მოლაპარაკება შეთანხმების მიღწევამდე ან უარი თქვას ყველა დანარჩენ განაცხადზე.





	<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ არ უნდა განაახლოს მოლაპარაკებები იმ მონაწილესთან, რომელთანაც მოლაპარაკებები შეწყდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია პარალელურ რეჟიმში მოლაპარაკებები აწარმოოს შერჩევის პროცესში მოკლე სიაში შეტანილ სხვა მონაწილეებთან. ასეთ შემთხვევაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წერილობით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შერჩევის პროცესში მოკლე სიაში შეტანილ მონაწილეებს.</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს მონაწილის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ გამარჯვებული მონაწილისათვის შეტყობინების გაგზავნას/აქტიურთვას ელექტრონულ სისტემაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განთავსებას საკუთარ და სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდებზე. აღნიშნული შეტყობინება მოიცავს კერძო პარტნიორის დასახელებასა და ხელშეკრულების ძირითად პირობებს.</p> <p>სააგენტო უზრუნველყოფს თითოეულ ხელშეკრულებასთან მიმართებით შერჩევის პროცესსა და გამარჯვებულად გამოცხადებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვას.</p> <p>დახურული შერჩევის პროცესი ტარდება შერჩევის პროცესის გამოცხადების ეტაპის გარეშე, ასეთ შემთხვევაში, შერჩევის პროცესისთვის იდენტიფიცირებულ პირებს შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდებათ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.</p> <p>თუ შერჩევის პროცესი გამოცხადდა კერძო ინიციატორის მიერ საინიციატივო შეთავაზებების წარდგენის შედეგად, შერჩევის პროცესის გამოცხადების ეტაპზე მითითებული უნდა იყოს, რომ ეს პროცესი საინიციატივო შეთავაზებას ეფუძნება.</p> <p>კერძო ინიციატორს შესაძლებელია მიეცეს უპირატესობა, რომელიც განსაზღვრული უნდა იქნეს შერჩევის პროცესის დოკუმენტაციაში და რომლის თანახმადაც, თუ შერჩევის პროცესის შედეგად შეიარჩა მონაწილე, რომელიც არ არის კერძო ინიციატორი ან მასთან აფილირებული პირი, გამარჯვებული მონაწილე კერძო ინიციატორს აუნაზღაურებს გონივრულ, დასაბუთებულ და სათანადოდ დოკუმენტირებულ პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც მან საინიციატივო შეთავაზების მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებით გასწია. ამ ხარჯების ოდენობა საჯარო გახდება შერჩევის პროცესის ეტაპზე. იგი არ უნდა აღემატებოდეს მონაწილეთა მიერ წარსადგენი წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობას.</p> <p><b>შენიშვნა:</b> ენერჯეტიკის სექტორში მცირე პროექტის შემთხვევაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კონტრაქტის პროექტი განსახილველად უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. მცირე პროექტისთვის კონტრაქტორის შერჩევა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო კონცესიონერის შერჩევა - შესარჩევი კომისიის შექმნის ვალდებულების გარეშე. მცირე პროექტების შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განახორციელოს შერჩევის პროცედურა გამარტივებული წესით, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების დაცვით (მათ შორის, დახურული შერჩევის პროცესის მეშვეობით).</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>მოთხოვნები</b>	არ არის
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.); „საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ (4 მაისი, 2018 წ.).
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ არის
<b>ვადები</b>	მითითებული არ არის
<b>სტადია</b>	“ბ” ეტაპი - კვალიფიცირებული კანდიდატების იდენტიფიკაციის შემდეგ.
<b>შერჩევის პროცესი – პირდაპირი მოლაპარაკებები</b>	
<b>აღწერა</b>	საინიციატივო შეთავაზების შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა დამტკიცებულია და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ინიცირებული პროექტის განხორციელებას გადაწყვეტს, მან უნდა უზრუნველყოს შერჩევის პროცესის დაწყება შერჩევის ეტაპების შესაბამისად ან პირდაპირი მოლაპარაკების გზით, საქართველოს მთავრობის თანხმობის საფუძველზე.

	<p>პირდაპირი მოლაპარაკების საფუძველზე შერჩევის პროცესი უნდა წარიმართოს დახურული შერჩევის პროცედურით და მასზე არ გავრცელდება 3 კანდიდატის შერჩევის მოთხოვნა. პროცესი უნდა წარიმართოს გამჭვირვალედ და შექმნილია დაგვირგად მაქსიმალურად უნდა იქნეს მიღწეული კონკურენტული შერჩევის პირობების ანალოგიური შედეგი.</p> <p>პირდაპირი მოლაპარაკებების შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სააგენტოს ვებგვერდებზე გამოქვეყნებული საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების პროექტს, საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, დამოუკიდებელ კვლევას/ შეფასებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის ძირითადი ფინანსური ინდიკატორების შეჯამებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით დაცული საიდუმლო ინფორმაციისა.</p> <p>კონცესიონერის შერჩევა უნდა მოხდეს ზემოხსენებული პროცედურის შესაბამისად, ხოლო კონტრაქტორი - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის დაცვით.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>მოთხოვნები</b>	არ არის
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.).
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ არის
<b>ვადები</b>	მითითებული არ არის
<b>სტადია</b>	ეტაპი “ბ” - საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ
<b>საჯარო და კერძო თანამშრომლობის კონტრაქტი / ხელშეკრულება</b>	
<b>აღწერა</b>	<p>შერჩევის პროცესის მონაწილე შერჩევის პროცესის გამარჯვებულად (კონცესიონერად) უნდა გამოცხადდეს თუ მონაწილე აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მისი შეთავაზება, შესარჩევი კომისიისა და საქართველოს მთავრობის დასკვნების მიხედვით, სხვა მონაწილეთა შეთავაზებებთან შედარებით, მოიცავს საუკეთესო პირობებს ხარისხის ფასთან შეფარდების თვალსაზრისით.</p> <p>საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებაში უნდა შევიდეს შემდეგი ძირითადი დებულებები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების საგანი, განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა და მახასიათებლები, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილ საჯარო ინფრასტრუქტურასთან და/ან მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებული სხვა საკითხები;</li> <li>2. საჯარო ინფრასტრუქტურასთან და/ან საჯარო-კერძო ხელშეკრულებისთვის მიწოდებულ საკუთრებასთან დაკავშირებული საკუთრების უფლებების განაწილებისა და გადაცემის პროცედურას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);</li> <li>3. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი;</li> <li>4. ხელმისაწვდომობის ანაზღაურებას/შედგმე დაფუძნებულ ანაზღაურებას ან/და კერძო პარტნიორისათვის განსახორციელებელ სხვა გადახდებს (მათი არსებობის შემთხვევაში);</li> <li>5. საჯარო პარტნიორისათვის განსახორციელებელ გადახდებს (მათი არსებობის შემთხვევაში);</li> <li>6. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს, წესსა და შედეგებს.</li> </ol> <p>კონტრაქტი აგრეთვე შეიძლება მოიცავდეს დებულებებს მხარეთა შორის ურთიერთ შეთანხმებულ სხვა საკითხებზე. ამის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ ხელი მოაწერონ შემდეგ ხელშეკრულებებს:</p> <p>ენერგეტიკის სექტორში შესაძლებელია გაიყოს გარანტიები გარკვეული სახის საეკონომიკისა და მომსახურების გრძელვადიან შესყიდვაზე, მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ფასით.</p>

	<p>ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს კერძო პარტნიორის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესაძლებლობას. აღნიშნული პირგასამტეხლოს მინიმალური ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ პროექტის სრული ღირებულების 0.01%-ისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ისეთი ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლო (ერთჯერადად ან მრავალჯერადად დაკისრებული/დასაკისრებელი სანქცია), რომელიც არ არის დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებასთან, განისაზღვრება წინადადების წარსადგენად მიწვევის დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით.</p> <p>ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მაქსიმალური თანხა არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ღირებულების 10%-ს.</p> <p>კერძო პარტნიორისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს პატიება შესაძლებელია საქართველოს მთავრობის მიერ, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს საჯარო პარტნიორისა და კერძო პარტნიორის ან საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიის დასაბუთებული შუამდგომლობა დარიცხული პირგასამტეხლოს პატიების შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ ვადაგადაცილება გამონაკვეთია მისგან დამოუკიდებელი, ობიექტური გარემოებებით. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად შექმნას კომისია.</p> <p>არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოების/ჯარიმის დაკისრება და შესაძლო ანაზღაურება უნდა გამოდინარეობდეს შესრულების შედეგებიდან. პირგასამტეხლომ კერძო პარტნიორისთვის უნდა გამოკვეთოს მნიშვნელოვანი განსხვავება შემოსავლებში, შესრულების ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.</p> <p>ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, მოთხოვნილი მომსახურების ან/და შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისად. კონცესიის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღარბეზდეს გონივრულ ვადას, რა პერიოდშიც მოსალოდნელია, რომ კონცესიონერი მის მიერ შესრულებული სამუშაოების ან/და გაწეული მომსახურების სანაცვლოდ სრულად შეძლებს განხორციელებული ინვესტიციებისა და ამონაგების ამოღებას (ისე რომ გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო/მოთხოვნილი ინვესტიციის ოდენობა). ინვესტიციის ოდენობის დაანგარიშების მიზნებისთვის „ინვესტიცია“ მოიცავს კონცესიის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განსახორციელებელ სრულ ინვესტიციას.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>მოთხოვნები</b>	არ არის
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (17 აგვისტო, 2018 წ.); „საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ (4 მაისი, 2018 წ.).
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ არის
<b>ვადები</b>	განსაზღვრული არ არის
<b>სტადია</b>	“ბ” ეტაპი - გამარჯვებულის გამოცხადების შემდეგ

**„ბ“ , „დ“ და „ე“ ეტაპები – პროექტის განხორციელება, ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა და დამონტაჟი**



პირობითი აღნიშვნები:

- პროექტი
- განხორციელება / ჩაბარება
- შეთანხმება/ხელშეკრულება

**ეკონომიკის სამინისტრო** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო **სსე** - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა **სემეკი** - საქართველოს ენერჯეტიკისა და მყარმომაზარავების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

# ქტაპი „ბ“ – პროექტის განხორციელება

ღებალური საინჟინრო პროექტი და მიწის ბაზმენდა	
<b>აღწერა</b>	<p>ვიდრე კერძო ინვესტორი სამშენებლო ნებართვის მისაღებად შესაბამის თვითმმართველ ერთეულს ან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიმართავს, მან პროექტის დეტალური საინჟინრო პროექტი უნდა მოამზადოს და მიწით სარგებლობის უფლება მიიღოს.</p> <p><b>შენიშვნა:</b> არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის ინიცირებისათვის კერძო ინვესტორმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უნდა მიმართოს.</p> <p>პროექტის მიზნებისათვის გამოსაყენებელი მიწა შეიძლება წარმოადგენდეს კერძო პირის/იურიდიულ პირის ან სახელმწიფოს საკუთრებას.</p> <p>თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა სახელმწიფოს საკუთრებაშია, კერძო ინვესტორს შეუძლია სახელმწიფო ქონების პრივატიზების თხოვნით მიმართოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს“.</p> <p><b>შენიშვნა:</b> საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა მიერ დაფუძნებული გვერთიანების საკუთრებაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება განისაზღვროს ორგანული კანონით, რომელიც მიღებული უნდა იქნას პარლამენტის ხმების მინიმუმ ორი მესამედის ოდენობით.</p> <p>„სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს, საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკას, საქართველოს მუნიციპალიტეტს, საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის დომინანტური პარტნიორია ზემოხსენებულ მესაკუთრეთაგან რომელიმე.</p> <p>სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაცია ხორციელდება:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ა. აუქციონის გზით;</li> <li>ბ. პირდაპირი მიყიდვის გზით:             <ul style="list-style-type: none"> <li>• პირდაპირი მიყიდვა;</li> <li>• პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე.</li> </ul> </li> </ol> <p>სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის გზით პრივატიზება შეიძლება ინიცირებული იყოს საქართველოს მოქალაქის, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის, ქონების ადმინისტრატორის ან მესამე პირის მიერ.</p> <p>სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები უნდა დაიგვემოს/შესწავლილ იქნას და განთავსდეს ქონების ადმინისტრატორის ან ინიციატორის მიერ.</p> <p>თუ საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან მესამე პირს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის გზით პრივატიზების ინიცირება სურს, მან უნდა შეასრულოს შემდეგი პირობები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საპრივატიზებო მიწის ფართობების შერჩევა და (საჭიროების შემთხვევაში) მათი ოპტიმალური ზომის ნაკვეთებად (არანაკლებ 3-ჰექტარიანი ნაკვეთი) დაყოფა (აღნიშნული შემლუღვა არ მოქმედებს, თუ ნაკვეთის ფართობი 3 ჰექტარზე მცირეა);</li> <li>• მოამზადოს საპრივატიზებოდ შერჩეული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შესახებ საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შესწავლოს და მიიღოს ინფორმაცია მათი კატეგორიისა და ხარისხის შესახებ;</li> <li>• სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, შერჩეული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთ(ებ)ის აუქციონის გზით პრივატიზაციის შესახებ “ინტერესის გამოხატვის წერილის” გადაგზავნა სააგენტოსთვის, რომელიც პრივატიზაციის ახორციელებს.</li> </ul>

აუქციონზე გატანილი, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საწყის საპრივატიზაციო ფასს ადგენს საქართველოს მთავრობა, ადმინისტრაციული და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. თუ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ, იჯარით გაუცემელ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობა /ნაგებობები ან/და მრავალწლიანი ნარგავები, მაშინ აუქციონზე გატანილი სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწა გაიყიდება მიწის ნაკვეთის ფასად, მიუხედავად მასზე განლაგებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებისა ან/და მრავალწლიანი ნარგავებისა.

აუქციონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონის გამარჯვებული ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის ფასი და ქონების ადმინისტრატორს წარუდგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ქონების ადმინისტრატორმა აუქციონის გამარჯვებულის მიერ ვალდებულების სრული ან ნაწილობრივ შესრულება უნდა დაადასტუროს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ან ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს შემთხვევაში, ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე [www.privatization.ge](http://www.privatization.ge), რაც წარმოადგენს საფუძველს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულებების გაუქმების ან მოდიფიკაციის შესახებ).

პირდაპირი მიყიდვის / კონკურენტული პირდაპირი მიყიდვის გზით პრივატიზაციის მიზანია, საკუთრების უფლების გადაცემა ისეთი მყიდველისათვის, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს სახელმწიფო ქონების პრივატიზებისთვის განსაზღვრული პირობებს, პირდაპირი / კონკურენტული პირდაპირი მიყიდვის გზით.

სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვა და კონკურენტული პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქონების ადმინისტრატორის ინიციატივის და/ან რეკომენდაციის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის მომზადების პროცესში, ქონების ადმინისტრატორმა განმცხადებელს უნდა მოსთხოვოს საბანკო გარანტიის წარმოდგენა, საინვესტიციო ვალდებულების მინიმუმ 10%-ის ოდენობით, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილების მიხედვით და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში.

მრავალი საინვესტიციო პირობის არსებობის ან დაინტერესებული პირების მიერ ალტერნატიული პირობების შეთავაზების შემთხვევაში, საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების პრივატიზაცია ხორციელდება კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის გზით.

დაინტერესებულ პირთა შეთავაზებები განხილული უნდა იყოს ქონების ადმინისტრატორის მიერ, ან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქართველოს მთავრობის მიერ, და მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისთვის სათანადო ზომების განხორციელების შესახებ.

კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის განსახორციელებლად, ქონების ადმინისტრატორი, ან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქართველოს მთავრობა, აქვეყნებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის პირობების შესახებ ეროვნულ და/ან საერთაშორისო მედიაში და ადგენს ინტერესის გამოხატვის ვადებს, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არ უნდა იყოს 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები. თუ დაგვიანება შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო და/ან საზოგადოებრივი ინტერესებს, საქართველოს მთავრობას შეუძლია გონიერების ფარგლებში შეამციროს ვადები, იმ პირობით თუ უზრუნველყოფილი იქნება პროცესის საჯაროობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პოტენციური ინვესტორებისთვის. მას შემდეგ, რაც ინტერესის გამოხატვის ვადა ამოიწურება, ქონების ადმინისტრატორი განიხილავს წარდგენილ განცხადებებს და წარუდგენს საქართველოს მთავრობას (ქონების მართვის სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეშვეობით) არგუმენტირებულ შეთავაზებებს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის კონკურენტული პირდაპირი მიყიდვის გზით პრივატიზაციის შესახებ. სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის გზით პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

**შენიშვნა:** უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტიის /დემოზიტის წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ მსყიდვეებზე, რომლებსაც სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონება უნდა გადაეცეთ პრივატიზაციის გზით, საქართველოს მთავრობასთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე, ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით.

კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად, ინტერესის გამოხატვის ვადის ამოწურვამდე, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტია ან დემოზიტი სათანადო საბანკო ანგარიშზე, რომელიც უდრის სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისთვის მოთხოვნილი ფასის 10%-ს. თუ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის პირობები ითვალისწინებს საინვესტიციო ვალდებულებებს, ზემოხსენებული საბანკო გარანტიის წარდგენა და შესაბამის ანგარიშზე, თანხის დეპოზიტზე დადება უნდა მოხდეს პრივატიზაციის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. თუ შეთავაზებული ინვესტიციის თანხა აღემატება სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ღირებულებას, უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტიისა და დემოზიტის თანხა შეთავაზებული ინვესტიციის 10%-ს უნდა უდრიდეს. პრივატიზაციის პირობების შესრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული თანხა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება. საინვესტიციო ვალდებულებების შემთხვევაში, პრივატიზაციის პირობებთან დაკავშირებით ვალდებულებების აღების შემდეგ (და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ) უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტიის /დემოზიტის თანხა გამოყენებული უნდა იყოს ქვემოთ აღწერილი მიზნებისათვის. თუ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების პრივატიზების წინაპირობა საინვესტიციო ვალდებულებაა, პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზაციის შემთხვევაში მიყიდვებმა უნდა წარმოადგინოს უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტია საინვესტიციო ვალდებულების მინიმუმ 10%-ის ოდენობით, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი დადგენილების მიღებიდან სათანადო ხელშეკრულების დადებამდე, ან, აუქციონის შემთხვევაში - აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში; უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 4 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულებისთვის განისაზღვრულ ვადას. უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტიის თანხა შეიძლება შემცირდეს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

საქართველოს მთავრობამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება გაასხვისოს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის გზით, ზემოხსენებული ზომების მიღების გარეშე.

თუ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზება ხდება პირდაპირი მიყიდვის ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის გზით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთის ფასი და მისი გადახდის პროცედურა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

კონკურენტული შერჩევის საფუძველზე სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის პროცედურა არ ვრცელდება სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ ისეთ ქონებაზე, რომელიც გადაეცემა სარგებლობაში და/ან არის სახელმწიფო ორგანოს /საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბალანსზე.

რეკრეაციულ ზონაში და ქალაქ თბილისისა და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვა მიწის ნაკვეთების კატეგორია შეცვლას ექვემდებარება.

რეკრეაციულ ზონის ფარგლებს გარეთ მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კატეგორია შეცვლას არ ექვემდებარება თუ მისი მფლობელი აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ააშენებს სახლს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს და დამხმარე ნაგებობებს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის კატეგორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიით უნდა შეიცვალოს: ა) საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში; და/ან ბ) სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენების საჭიროების დასაბუთების შემთხვევაში.

ფიზიკურმა და /ან ფურიდიულმა პირმა მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის საფასური მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადაიხადოს, თუ მიწა განლაგებულია რეკრეაციულ ზონაში და /ან ქალაქ თბილისისა და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

რეკრეაციულ ზონაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1 ჰექტარის საკომპენსაციო თანხა შეადგენს 100,000 ლარს, ხოლო ქალაქ თბილისისა და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა - 34,001 ლარია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობისას უნდა ანაზღაურდეს მიწის ხარისხის დაუარესებელი მიწის შესაკუთრებისათვის მიყენებული ზიანი. ერთი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკომპენსაციო თანხა განსხვავებულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში და განსაზღვრულია საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“. კომპენსაციის თანხა მიწის შესაკუთრის ანგარიშზე უნდა გადაირიცხოს.

**შენიშვნა:** „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №57 (24 მარტი, 2009) დადგენილების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო ზონაში მშენებლობა იზღუდება მხოლოდ იმ შემთხვევითა და ნაგებობებით, რომლებიც აღნიშნული ტერიტორიის ფუნქციებს შეესაბამება. შესაბამისად, სამშენებლო ნებართვის მისაღებად განცხადების შეტანამდე, სასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორია უნდა შეიცვალოს არასასოფლო-სამეურნეო მიწით.

მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის უფლებამოსილება აქვს იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“. სააგენტოს თავმჯდომარემ უნდა ჩამოაყალიბოს კომისია, რომელიც გააკეთებს წინასწარ შეფასებას და მიიღებს გადაწყვეტილებას კატეგორიის ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ.

კომისია განიხილავს განცხადებებს / ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში რეგისტრაციის თარიღის მიხედვით, ქრონოლოგიის პრინციპის დაცვით. დასკვნა გაიცემა 10 დღის ვადაში.

თუ კომისია მიიჩნევს, რომ საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, ის საკითხის განხილვას დროებით შეაჩერებს. ამ შემთხვევაში, სააგენტოს შესაბამისი სამსახური დაუყოვნებლივ მოითხოვს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში უნდა იქნას მიწოდებული. ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, კომისია საკითხს მომდევნო სხდომაზე განიხილავს და დაამტკიცებს დასკვნას.

კომისია დასკვნას სააგენტოს თავმჯდომარეს წარუდგენს, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დასკვნის მიღებიდან 5 დღის ვადაში.

მიწის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაციისთვის დაინტერესებულმა მხარემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, იუსტიციის სახლის და სანოტარო ბიუროს ტერიტორიულ ოფისებს უნდა მიმართოს.

რეგისტრაციისთვის წარსადგენი დოკუმენტებია:

- განცხადება (რომელიც მიმღები ოპერატორის მიერ უშუალოდ არის მითითებული შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში);
- დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი;
- საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის დასაბუთება, თანდართული დოკუმენტაციით ან დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესაკუთრე უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული განცხადება;
- კომპენსაციის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში);
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (10 დღე - 50 ლარი).

სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა იწყება დოკუმენტაციის ჩაბარების / რეგისტრაციის მომდევნო დღიდან და მთავრდება ბოლო ვადის უკანასკნელი დღის 21:00 საათზე.

თუ მომსახურება განცხადების ჩაბარებიდან ერთ სამუშაო დღეში უნდა შესრულდეს, სარეგისტრაციო წარმოების ვადა დასრულდება ბოლო ვადის უკანასკნელი დღის 09:00 საათზე, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მომსახურების მიღების შესახებ განცხადება ჩაბარებულია არაუგვიანეს შუადღის 12:00 საათისა. თუ განმცხადებელი განცხადებას შუადღის 12:00 საათის შემდეგ წარმოადგენს, სარეგისტრაციო წარმოების ვადა იწურება ვადის ბოლო დღის დასასრულს.

თუ ვადის უკანასკნელი დღე დღესასწაულის დღეს ემთხვევა, ბოლო სამუშაო დღედ ჩაითვლება შემდეგი სამუშაო დღე.



<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“.
<b>მოთხოვნები</b>	მინის კატეგორიის შეცვლის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, „საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ“ შეიძლება მოითხოვოს საკუთრების უფლებების რეგისტრაციისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია.
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ (21 ივლისი, 2010); საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მინის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ (2 ოქტომბერი, 1997; ძალას დაკარგავს და ჩანაცვლდება 2020 წლის 1 ივლისიდან); საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №4 “საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” (15 იანვარი, 2010); საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ”, 25 ივნისი, 2019 წ.
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	მინის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაციის საფასური - 50 ლარი.
<b>ვადები</b>	განსაზღვრული არ არის
<b>სტადია</b>	“ბ” ეტაპი - საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

### **მშენებლობის ნებართვა და მშენებლობა**

<b>აღწერა</b>	<p>მშენებლობის ნებართვის მისაღებად მაძიებელმა განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა წარუდგინოს თვითმმართველობის ორგანოს, თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურს“ ან „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“, შესაბამისად, თვითმმართველი ორგანოები გასცემენ მშენებლობის ნებართვას II, III, IV კლასების მქონე შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის. თუ მშენებლობა თბილისში ხორციელდება, მშენებლობის ნებართვას გასცემს თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახური“. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეყნებო „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ ნებართვებს გასცემს V კლასის მქონე შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის (რადიოაქტიური ობიექტების და ატომური ელექტროსადგურების ჩათვლით).</p> <p>შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ვარჯისად აღიარებისათვის იყოფა 5 კლასად:</p> <p><b>I კლასში, სხვა შენობა-ნაგებობებთან ერთად შედის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 20 მ<sup>2</sup>-მდე მოცულობის, 10 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობები;</li> <li>- შენობა-ნაგებობები, რომელთა მალის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა;</li> <li>- გრუნტის ზედაპირიდან 2.2 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობეები;</li> <li>- 50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგურები, მზისა და ბიოგაზის დანადგარები;</li> <li>- არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით გაყვანილი კავშირგაბმულობის ხაზები;</li> <li>- 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზები.</li> </ul> <p><b>II კლასში, სხვა შენობა-ნაგებობებთან ერთად შედის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 60 მ<sup>2</sup>-მდე მოცულობის, 10-15 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 10-15 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობები;</li> <li>- შენობა-ნაგებობები, რომელთა მალის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე 7მ-ზე ნაკლებია;</li> <li>- გრუნტის ზედაპირიდან 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობეები;</li> <li>- 1000 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის წყალსაცავები;</li> <li>- თხევადი ნივთიერების საცავები ჯამური მოცულობით.</li> </ul> <p><b>III კლასში, სხვა შენობა-ნაგებობებთან ერთად შედის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 200 მ<sup>2</sup>-მდე მოცულობის, 30 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 20 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობები, რომელთა მალის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე მეტია 7 მ-ზე და ნაკლებია ან ტოლია 12 მ-ისა;</li> <li>- 1000 მ<sup>3</sup>-დან 10 000 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის წყალსაცავები;</li> </ul>
---------------	---

- ნავთობისა და გათხევადებული გაზსაცავი ტერმინალები და ავზების ჭამური მოცულობით 100-500 მ<sup>3</sup>-მდე.

**IV კლასში, სხვა შენობა-ნაგებობებთან ერთად შედის:**

- 200 მ<sup>3</sup>-დან 1 000 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის, 30-50 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 20-30 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობები;
- შენობა-ნაგებობები, რომელთა მალის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე 12-24 მეტრია;
- 10 000 მ<sup>3</sup>-დან 100 000 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის წყალსაცავები;
- 220 კვ სიმძლავრის ელექტროქვესადგურები;
- 110-220 კვ ელექტროგადამცემი ხაზები;
- 10-50 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები;
- ნავთობისა და გათხევადებული გაზსაცავის ტერმინალები და ავზების ჭამური მოცულობით 500-1,000 მ<sup>3</sup>-მდე.

**V კლასში (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები) სხვა შენობა-ნაგებობებთან ერთად შედის:**

- 1 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის, 50 მ-ზე მეტი სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 30 მ-ზე მეტი ჩაღრმავების მქონე ნაგებობები;
- შენობა-ნაგებობები, რომელთა მალის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე 24 მეტრზე მეტია;
- სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც ხორციელდება საშიში სანარმოო პროცესები;
- გვირაბები და მეტროპოლიტენი;
- 50 მგვტ-ზე დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები;
- 330 კვ და მეტი სიმძლავრის ელექტროქვესადგურები;
- 330 კვ და მეტი სიმძლავრის ელექტროგადამცემ ქსელში ჩართული ელექტროსადგურები;
- მაგისტრალური მილსადენები, გაზსადენების ჩათვლით;
- მალაროები.

შესაბამისი აღმინისტრაციული ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესი სამი სტადიისგან შედგება.

**I სტადია** – მშენებლობის პირობების დადგენა ხდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების შესახებ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარებიდან 12 დღეში; ბახმაროს, ბაკურიანის და ურეკის რეკრეაციულ ზონებში მშენებლობისთვის (V კლასის შენობა-ნაგებობების გამოკლებით) და ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული IV კლასის შენობა-ნაგებობების შემთხვევაში I სტადიას 15 დღე სჭირდება, ხოლო V კლასის შენობების შემთხვევაში - 30 დღე.

**II სტადია** – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებას 18 დღე სჭირდება; ბახმაროს, ბაკურიანის და ურეკის რეკრეაციულ ზონებში მშენებლობის, IV და V კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობის, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული მშენებლობის და V კლასის შენობების მშენებლობის შემთხვევაში, II სტადია 20 დღეში სრულდება.

**III სტადია** – მშენებლობის ნებართვის გაცემა 5 დღეში; V კლასის შენობების შემთხვევაში - 10 დღეში.

გამონაკლისები აღნიშნული წესებიდან: პირველი სტადიის გავლა აუცილებელი არ არის, თუ დაგეგმილი მშენებლობის ტერიტორია შეტანილია „განვითარების რეგულირების გეგმაში“, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული გეგმა ყველა მოთხოვნილ პირობას არ მოიცავს. „განვითარების რეგულირების გეგმა“ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია ტერიტორიის ზონებად დაყოფის მოთხოვნები და შეზღუდვები, მშენებლობის პარამეტრები, წყლის, ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის მიწოდების მაგისტრალური და ადგილობრივი ქსელების რუკა, ადგილობრივი გზების რუკა და კონკრეტული მიწის ნაკვეთის ქუჩების რუკა. მშენებლობის პირობები განსაზღვრულია „განვითარების რეგულირების გეგმაში“.

ნებართვის მაძიებელს შეუძლია აირჩიოს მეორე სტადიის გამარტივებული პროცესი, რომელიც მას II და III სტადიების კომბინირების საშუალებას აძლევს და ერთდროულად ჩააბაროს ორივე სტადიის დოკუმენტები. გამარტივებული პროცესის შემთხვევაში I სტადია 12 დღეში სრულდება. IV და V კლასის შენობების, ბახმაროს, ბაკურიანის და ურეკის რეკრეაციულ ზონებში მშენებლობის და ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების შემთხვევაში - I სტადია 15 დღეში სრულდება. გამარტივებული II სტადია 20 დღეში სრულდება.

მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ კერძო ინვესტორს სამშენებლო სამუშაოების დაწყება შეუძლია.

<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობები, „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“.
<b>მოთხოვნები</b>	არ არის
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს მთავრობის დადგენილება №57 “შენებლობის ნებართვების გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ” (24 მარტი, 2009 წ.); საქართველოს მთავრობის დადგენილება №257 “განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” (31 მაისი, 2019); საქართველოს კანონი “სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” (12 აგვისტო 2003); საქართველოს კანონი “ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” (29 მაისი 1998); დადგენილება №255 “შენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” (31 მაისი, 2019 წ.).
<b>მოქმედების ვადა</b>	მშენებლობის ნებართვა გაცემა მოქმედების გონივრული ვადით, სამშენებლო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. მშენებლობის ნებართვა ძალაში შედის სამშენებლო ორგანიზაციის პროექტის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღეს.
<b>მოსაკრებლები</b>	ელექტროენერჯის გენერაციის ობიექტების და სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობის შემთხვევაში სანებართვო მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს (№2937 – საქართველოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ, 12/08/2003). II-IV კლასის შენობებისთვის სანებართვო მოსაკრებელი გამოიანგარიშება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. V კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> <li>• შენობა-ნაგებობისთვის, რომელთა ღირებულება არ აღემატება 500,000 ლარს - 1000 ლარი + ღირებულების 0.5%;</li> <li>• შენობა-ნაგებობისთვის, რომელთა ღირებულება 500,000-დან 1,000,000 ლარამდე მერყეობს - 8,000 ლარი;</li> <li>• შენობა-ნაგებობისთვის, რომელთა ღირებულება 1,000,000-დან 3,000,000 ლარამდე მერყეობს - 14,000 GEL;</li> <li>• შენობა-ნაგებობისთვის, რომელთა ღირებულებაა 3,000,000-დან 5,000,000 ლარამდე მერყეობს - 19,000 ლარი;</li> <li>• შენობა-ნაგებობისთვის, რომელთა ღირებულებაა 5,000,000-დან 10,000,000 ლარამდე მერყეობს - 24,000 ლარი;</li> <li>• შენობა-ნაგებობისთვის, რომელთა ღირებულება 10,000,000 ლარს აღემატება - 24,000 ლარი + ღირებულების 0,01%.</li> </ul>
<b>ვადები</b>	60 სამუშაო დღე
<b>სტადია</b>	“ბ“ ეტაპი - დამტკიცებისა და დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადების შემდეგ
<b>ქსელთან მიერთება</b>	
<b>აღწერა</b>	ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთების მსურველმა კერძო ინვესტორმა განცხადებით უნდა მიმართოს ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს – სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ (სსე) და ხელი მოაწეროს მასთან ხელშეკრულებას ქსელში მიერთების შესახებ. ელექტროგადამცემის ქსელთან მიერთება ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს: <ul style="list-style-type: none"> <li>- პირველ ეტაპზე კერძო ინვესტორმა ელექტროგადამცემის ლიცენზიანტს უნდა წარუდგინოს განცხადება ქსელთან მიერთების შესახებ და „ქსელის კოდქსით“ მოთხოვნილი დოკუმენტები. ელექტროგადამცემის ლიცენზიანტი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან ერთად, განიხილავს დოკუმენტაციას და შეთავაზებას მოუმზადებს განმცხადებელს.</li> <li>ქსელთან მიერთებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადაცემის ლიცენზიანტი ვალდებულია კარგად დასაბუთებული უარი, წერილობითი ფორმით მიანოდოს კერძო ინვესტორს და „საქართველოს ენერჯტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიას“ (სემეკი), რომელიც პასუხისმგებელია შეამოწმოს უარყოფითი პასუხი.</li> <li>- მეორე ეტაპზე, გადაცემის ლიცენზიანტმა, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტმა და კერძო ინვესტორმა ხელი უნდა მოაწერონ „ქსელთან მიერთების ხელშეკრულებას“. შესაბამისი მხარეები პასუხს აგებენ „ქსელთან მიერთების ხელშეკრულების“ ტექნიკურ მოთხოვნებში მითითებული სამუშაოების შესრულებაზე. „ტექნიკური პროექტი“ უნდა დამტკიცდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ. „ქსელთან მიერთების ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული დანადგარების ტესტირება წარმატებით უნდა დასრულდეს და მზად იყოს ექსპლუატაციისთვის.</li> </ul>

გადაცემის ლიცენზიანტის ქვესადგურში მიერთების უზრუნველყოფის მოწყობის შემთხვევაში:

- გადაცემის ლიცენზიანტი პასუხისმგებელია მოაწყოს (დაამონტაჟოს) უზრუნველყოფის ლიცენზიანტის ქვესადგურში;
- დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი (თავისი ხარჯით) უზრუნველყოფს პირველი დონის მონაცემთა შეგროვებისა და კონტროლის სისტემის კომუნიკაციის მოწყობილობის განთავსებას კერძო ინვესტორისა და გადაცემის ლიცენზიანტის ქვესადგურებში;
- მიერთების მსურველმა კერძო ინვესტორმა ორგანიზება უნდა გაუკეთოს და შეასრულოს მიერთებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო.

მიერთების უზრუნველყოფის მოწყობის შემთხვევაში, მიერთების წერტილი (უზრუნველყოფის ლიცენზიანტის საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო პირველი დონის მონაცემთა შეგროვებისა და კონტროლის სისტემის კომუნიკაციის ელემენტი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის საკუთრებაა.

გადაცემის ლიცენზიანტის კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი შეზღუდვები:

- 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს არანაკლებ 250 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი;
- 400 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს არანაკლებ 200 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი;
- 330 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს არანაკლებ 150 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი;
- 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს არანაკლებ 50 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი;
- 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს არანაკლებ 10 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი.

შემოსუნიერებელი შეზღუდვებისგან განთავისუფლებულია: უკვე მიერთებული პროექტები, პროექტები რომლებისთვისაც ტექნიკური პირობა გაიცა 2019 წლის 25 ივლისამდე<sup>1</sup>, განმცხადებლები, რომელთაც უკვე აქვთ ქსელთან მიერთების შეთავაზება და განმცხადებლები, რომელთაც ხელი აქვთ მონერილი ქსელთან მიერთების ხელშეკრულებაზე 2019 წლის 25 ივლისამდე.

გადაცემის ლიცენზიანტი პასუხისმგებელია:

- შეიმუშაოს ტექნიკური პროექტი;
- მიიღოს მინაშე საკუთრების უფლება;
- მიიღოს სხვა ტიპის ნებართვები, რომელიც საჭიროა კერძო ინვესტორის ქვესადგურამდე ელექტროგადამცემი ხაზის მისაყვანად;
- შეასრულოს კერძო ინვესტორის ქვესადგურამდე ელექტროგადამცემი ხაზის მიყვანასთან დაკავშირებული სამუშაოები, მათ შორის ელექტროგადამცემი ხაზის მოლიანობის აღსადგენად საჭირო კომუნიკაციის მოწყობილობების შესყიდვის და მონტაჟის ჩათვლით;
- დაამონტაჟოს მიერთების უზრუნველყოფის და აღრიცხვის წერტილი კერძო ინვესტორის ქვესადგურში.

ასევე:

- დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს პირველი დონის მონაცემთა შეგროვებისა და კონტროლის სისტემის დისტანციური კავშირის მოწყობილობის დაყენება კერძო ინვესტორის ქვესადგურში;
- მიერთების მსურველი კერძო ინვესტორი ვალდებულია დაფაროს მიერთებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

გადაცემის ლიცენზიანტის კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში, მიერთების მიზნით აშენებული ელექტროგადამცემი ხაზი, მიერთების წერტილი და აღრიცხვის წერტილი გადაცემის ლიცენზიანტის საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო პირველი დონის მონაცემთა შეგროვებისა და კონტროლის სისტემის კომუნიკაციის ელემენტი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის საკუთრებაა.

ექსპლუატაციაში გაშვების წინ ელექტრული მოწყობილობის/დანადგარების, დაცვის მექანიზმებისა და სხვა სისტემების ტესტირება ერთ-ერთი უკანასკნელი აქტივობაა, რომელიც ელექტროსისტემის მონაწილის ელექტრული მოწყობილობის/დანადგარების სათანადო მუშაობის დასადასტურებლად ხორციელდება. „ქსელის კოდექსით“ დ/ან „ქსელთან მიერთების ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ყველა ტესტი უნდა განხორციელდეს ექსპლუატაციაში გაშვების გრაფიკის შესაბამისად, რომელიც წინასწარ უნდა იყოს დამტკიცებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ.

<sup>1</sup> საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 25 ივლისის დადგენილება №17, „ქსელის წესებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

	<p>ექსპლუატაციაში გაშვების ტესტირების დასრულების შემდეგ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი თანხმობას იძლევა მიერთებაზე ან გასცემს მითითებას დამატებითი ტესტირების შესახებ. თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი მონაწილე ელექტროგადამცემის ქსელთან მიერთებული იქნება მას შემდეგ, რაც შეასრულებს ელექტროგადამცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	<p>კერძო ინვესტორი/დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი/ელექტროგადამცემის ლიცენზიანტი/საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.</p>
<b>მოთხოვნები</b>	<p>გადამცემის ლიცენზიანტის მიერ კერძო ინვესტორისთვის მიწოდებული „შეთავაზება ქსელთან მიერთების შესახებ“ ძალაშია 3 თვის მანძილზე.</p>
<b>რეგულაციები</b>	<p>საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №10 „ქსელთან მიერთების წესების დამტკიცების შესახებ“, (17 აპრილი 2014 წ.); საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება № 21/31 "გადამცემ ქსელზე მიერთების მოთხოვნაზე უარის თქმის ზოგადი და ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმები და მათი შეფასების მეთოდოლოგია", (23 მარტი, 2017 წ.).</p>
<b>მოქმედების ვადა</b>	<p>ქსელთან მიერთება ძალაშია „გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულებაში“ გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.</p>
<b>მოსაკრებლები</b>	<p>გადამცემ ქსელთან მიერთების საფასური განსაზღვრულია 500/ 400/ 330/ 220/ 110/ 35/ 10/ 6 კვ გადამცემი ხაზებისთვის. გადამცემ ქსელთან მიერთების საფასურის გადახდა გათვალისწინებულია ორ ეტაპად.</p> <p>პირველ ეტაპზე გადამცემ ქსელთან მიერთების საფასური:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 6/10/35 კვ - 2,500 ლარი;</li> <li>- 110 კვ - 3,000 ლარი;</li> <li>- 220 კვ და მეტი - 4,000 ლარი.</li> </ul> <p>მეორე ეტაპზე გადამცემ ქსელთან მიერთების საფასურში დაბრუნდნის ერთად გათვალისწინებულია მიერთების ტიპი: სტანდარტული, გადამცემის ლიცენზიანტის კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის ან არასტანდარტული მიერთების საფასური.</p> <p>სტანდარტული მიერთების საფასური:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ღია გამანაწილებელ მონყობილობაზე უჭრედის მონყობის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> <li>- 35 კვ - 218,000 ლარი.</li> </ul> </li> <li>• დახურულ გამანაწილებელ (ქარხნულ) მონყობილობაზე უჭრედის მონყობის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> <li>- 35 კვ - 300,000 ლარი;</li> <li>- 110 კვ - 560,000 ლარი;</li> <li>- 220 კვ - 819,000 ლარი.</li> </ul> </li> <li>• 500/400/330/10/6 კვ-ს შემთხვევაში, გადამცემ ქსელთან მიერთების მოსაკრებელი გამოიანგარიშება გადამცემის ლიცენზიანტის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.</li> </ul> <p>გადამცემის ლიცენზიანტის კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის მოსაკრებელი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ერთჯაჭვა ხაზისთვის: <ul style="list-style-type: none"> <li>- 35 კვ - 178,000 ლარი;</li> <li>- 110 კვ - 352,000 ლარი;</li> <li>- 220 კვ - 428,000 ლარი.</li> </ul> </li> <li>• ორჯაჭვა ხაზისთვის: <ul style="list-style-type: none"> <li>- 35 კვ - 260,000 ლარი;</li> <li>- 110 კვ - 517,000 ლარი;</li> <li>- 220 კვ - 677,000 ლარი.</li> </ul> </li> <li>• 1 კმ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზისთვის: <ul style="list-style-type: none"> <li>- 35 კვ - 199,000 ლარი.</li> </ul> </li> </ul> <p>არასტანდარტული მიერთების საფასური:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კერძო ინვესტორი თავის თავზე იღებს მიერთების სამუშაოებთან და ქსელის სრულ ან ნაწილობრივ გაძლიერებასთან (რეკონსტრუქციასთან) დაკავშირებულ პასუხისმგებლობას და ყველა ხარჯებს.</li> </ul>
<b>ვადები</b>	<p>პირველი ეტაპი გრძელდება 35-65 სამუშაო დღე, კერძო ინვესტორის მიერ მიერთებისთვის მოთხოვნილი ნომინალური სიმძლავრის საფუძველზე.</p> <p>მეორე ეტაპი ხორციელდება „ქსელთან მიერთების ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.</p>

<b>გენერაციის ლიცენზია</b>	
<b>აღწერა</b>	<p>გენერაციის ლიცენზიის მისაღებად კერძო ინვესტორმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ამონაწერი სახელმწიფო რეესტრიდან;</li> <li>ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გენერაციის ობიექტების ფლობის და/ან გამოყენების შესახებ და საკადასტრო რუკა;</li> <li>საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის დასკვნა იმის შესახებ, რომ გენერაციის ობიექტი შესაბამისობაშია სახელმწიფო სტანდარტებთან და ტექნიკური პირობის ნორმებთან;</li> <li>აქტივების სია და სანარმოს შეფასება (აუდიტი);</li> <li>გადაცემის/დისპეტჩერიზაციის შესაბამისი ლიცენზიანტის მიერ გაცემული ტექნიკური პირობა;</li> <li>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნებართვის პირობები;</li> <li>მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისი ელექტრული ქსელის სქემა.</li> </ol> <p>აპლიკანტი პასუხისმგებელია მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე. კომისია კერძო ინვესტორის განცხადებას განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას 20 დღის ვადაში.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.
<b>მოთხოვნები</b>	<p>განცხადებას თან უნდა ახლდეს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ამონაწერი სახელმწიფო რეესტრიდან;</li> <li>ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გენერაციის ობიექტების ფლობის და/ან გამოყენების შესახებ და საკადასტრო რუკა;</li> <li>საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის დასკვნა იმის შესახებ, რომ გენერაციის ობიექტი შესაბამისობაშია სახელმწიფო სტანდარტებთან და ტექნიკური პირობის ნორმებთან;</li> <li>აქტივების სია და სანარმოს შეფასება (აუდიტი);</li> <li>გადაცემის/დისპეტჩერიზაციის შესაბამისი ლიცენზიანტის მიერ გაცემული ტექნიკური პირობა;</li> <li>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნებართვის პირობები;</li> <li>მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისი ელექტრული ქსელის სქემა.</li> </ol> <p>განმცხადებელი ვალდებულია ზუსტად დაიცვას ვადები. კომისია განიხილავს კერძო ინვესტორის განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას 20 დღის ვადაში.</p> <p><b>შენიშვნა:</b> მცირე ელექტროსადგურები განთავსდებიან არაინ გენერაციის ლიცენზიისაგან.</p>
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №23 „ლიცენზირების წესები ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ დამტკიცების შესახებ (18 სექტემბერი, 2008); საქართველოს კანონი ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ (27 ივნისი, 1997); საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №24 „ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების გადასახადის დადგენისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ (18 სექტემბერი, 2008 წ.).
<b>მოქმედების ვადა</b>	გენერაციის ობიექტის ექსპლუატაციისთვის დადგენილი პერიოდი
<b>მოსაკრებლები</b>	$R=Q \cdot K$ რეგულირების საფასური (R); ელექტროენერჯის მიწოდება (Q) რეგულირების საფასურის კოეფიციენტი (K) = 0,002
<b>ვადები</b>	20 დღე
<b>სტადია</b>	ეტაპი „გ“ - ექსპლუატაციაში გაშვებამდე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ ქსელის ტესტირების შემდეგ.


## „დ“ ეტაპი – ექსპლუატაცია და მოვლა-კატრონობა

კომერციულ ექსპლუატაციაში გაშვება	
აღწერა	ტესტირების პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ, რაც დადასტურებული უნდა იყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის (სსე-ს) შესაბამისი აქტით, კერძო ინვესტორს უფლება აქვს დაიწყოს კომერციული ექსპლუატაცია, „ელექტროენერჯის ბაზრის ოპერატორთან“ (ესკო) „კვალიფიცირებულ სანარმოდ“ რეგისტრაციის საფუძველზე.
პასუხისმგებელი მხარე	კერძო ინვესტორი / სსე
მოთხოვნები	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ დადგენილი ტექნიკური სპეციფიკაციების შესრულება.
რეგულაციები	საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №10 „ქსელთან მიერთების წესების დამტკიცების შესახებ“, 17 აპრილი, 2014 წ.
მოქმედების ვადა	არ მისადაგება
მოსაკრებლები	არ არის
ვადები	არ მისადაგება
სტადია	ეტაპი „დ“ – გენერაციის ლიცენზიის მიღების შემდეგ

## „ე“ ეტაპი – ექსპლუატაციიდან გამოყვანა

დემონტაჟი	
აღწერა	ექსპლუატაციიდან გამოყვანის სამუშაოების ჩასატარებლად კერძო ინვესტორს ნებართვის მიღება სჭირდება. ნებართვის მიღების პროცედურა ისეთივეა, როგორც ეს აღწერილი იყო თავში - ეტაპი „ბ“ „მშენებლობის ნებართვა და მშენებლობა“.
პასუხისმგებელი მხარე	კერძო ინვესტორი / საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
მოთხოვნები	II და III კლასის შენობების დანგრევის ნებართვა გაიცემა პროექტის დოკუმენტაციის საფუძველზე. IV და V კლასის შენობების დანგრევის ნებართვა გაიცემა პროექტის დოკუმენტაციის და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.
რეგულაციები	საქართველოს მთავრობის დადგენილება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო მოთხოვნების შესახებ“, 24 მარტი, 2009 წ.
მოქმედების ვადა	არ მისადაგება
მოსაკრებლები	არ მისადაგება
ვადები	არ მისადაგება
სტადია	ეტაპი „ე“ - ობიექტის ექსპლუატაციის ვადის დასრულების შემდეგ

## ცვალებადი გენერაციის მქონე განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება საქართველოში „მშენებლობა-ფლობა-მსახულუბის“ კანონმდებლობის საფუძველზე



**ეკონომიკის სამინისტრო** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო  
**გარემოს დაცვის სამინისტრო** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო



## „ეტაპი „ა“ – წინასწარი შემუშავება


პროექტის ილენტიფიკაცია და წარდგანა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან	
<b>აღწერა</b>	<p>კერძო ინვესტორი ახდენს პროექტის იდენტიფიცირებას და წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შემდეგი ინფორმაციის შემცველ წერილობით განცხადებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სამინისტროს დასახელება;</li> <li>- ინფორმაცია კერძო ინვესტორის შესახებ (სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული /ფაქტიური მისამართი და ტელეფონის ნომერი);</li> <li>- მოთხოვნა (მათ შორის წინასწარ გაკეთებული განცხადება განმცხადებლის მიერ საჯარო-კერძო თანამშრომლობით პროექტის განხორციელების შესახებ);</li> <li>- თხოვნა მიწოდებული დოკუმენტების კონფიდენციალობის დაცვის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);</li> <li>- განცხადების ჩაბარების თარიღი და კერძო ინვესტორის ხელმოწერა;</li> <li>- განცხადებაზე დართული დოკუმენტების სია.</li> </ul> <p>კერძო ინვესტორმა განცხადებას თან უნდა დაურთოს წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელშიც მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ობიექტის ადგილმდებარეობა და ძირითადი პარამეტრები;</li> <li>- პოტენციური სამშენებლო ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა (მასშტაბი – 1:25000);</li> <li>- ადგილის მოკლე გეოლოგიური მონაცემები და გეოლოგიური რუკა (მონაცემთა ფონდში არსებული მასალების საფუძველზე);</li> <li>- ტერიტორიის სეისმური მახასიათებლები და სეისმური რუკა;</li> <li>- ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემები (საშუალო თვიური პარამეტრები), ქარის ელექტროსადგურის შემთხვევაში - ქარის პარამეტრებზე დაკვირვების მონაცემები, ხოლო მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურის შემთხვევაში - მზის პარამეტრებზე დაკვირვების მონაცემები (გენერაციის პროგნოზი);</li> <li>- ენერჯო გენერაციის მოდელი (გენერაციის წინასწარი პროგნოზი);</li> <li>- გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება;</li> <li>- ქსელთან მიერთების შესაძლო სქემა და გენერირებული ელექტროენერჯის ქსელის მიერ მიღების შესაძლებლობა;</li> <li>- ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ (არსებული და მშენებარე გზები ნაჩვენებია უნდა იყოს ტოპოგრაფიულ რუკებზე, სავარაუდო მანძილების მითითებით);</li> <li>- საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა;</li> <li>- ეკონომიკური ანგარიში (პროექტის ეკონომიკური მახასიათებლების ანალიზი, ინვესტიციის მოცულობის, პერიოდის და კრედიტის საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით).</li> </ul> <p>ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო ინვესტორის მიერ დაბეჭდილი და ელექტრონული ფორმით, ქართულ ენაზე.</p> <p>კერძო ინვესტორმა საბანკო გარანტია უნდა წარმოადგინოს მემორანდუმის ხელმოწერიდან 30 კალენდარულ დღეში.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	კერძო ინვესტორი
<b>მოთხოვნები</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიძლება კერძო ინვესტორისგან დამატებითი ინფორმაცია მოითხოვოს.
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დადგენილება №515 "ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს", 31 ოქტომბერი, 2018 წ.
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ მიესადაგება
<b>ვადები</b>	განსაზღვრული არ არის
<b>სტადია</b>	"ა" ეტაპი - წინასწარი შემუშავება

<b>შეთავაზების განხილვა და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა</b>	
<b>აღწერა</b>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამონიშნავს წინადადებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას განცხადებებისა და წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მიმართ არსებულ მოთხოვნებთან.</p> <p>თუ განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ მოიცავენ მოთხოვნილ ინფორმაციას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაინტერესებულ პირს დოკუმენტების ჩასაბარებლად უნდა მისცეს გონივრული ვადა. თუ დაინტერესებული პირი საჭირო დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს დადგენილ ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განცხადებას არ განიხილავს.</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განცხადებას განიხილავს მისი ჩაბარებიდან არაუგვიანეს ერთი თვის მანძილზე. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ განცხადების მთლიანი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.</p> <p>პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას უფლება აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოსთხოვოს მისთვის მიწოდებული შეთავაზების (შესაბამისი დოკუმენტების) კონფიდენციალურობის დაცვა.</p> <p>თუ შეთავაზება და შესატყვისი დოკუმენტები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აღნიშნულ პაკეტს საქართველოს მთავრობას წარუდგენს გადაწყვეტილების მისაღებად.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>მოთხოვნები</b>	არ არის
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დადგენილება № 515 “ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს”, 31 ოქტომბერი, 2018 წ.
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ მიესადაგება
<b>ვადები</b>	1-დან 3 თვემდე

**“ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ეტაპები – შეშუშავება, განხორციელება, მოვლა-პატრონობა და დემონტაჟი**

<b>საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება და მემორანდუმის /ხელშეკრულების ხელმოწერა</b>	
<b>აღწერა</b>	<p>თუ საქართველოს მთავრობა შეთავაზებას (შემოთავაზებებს) დამტკიცებს, მან უნდა გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რის შემდეგაც ხელი მოეწერება მემორანდუმს /ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობასა და კერძო ინვესტორს შორის.</p> <p>ხელშეკრულება /მემორანდუმი შეიძლება აგრეთვე მოიცავდეს დებულებებს მხარეთა შორის ურთიერთ-შეთანხმებულ სხვა საკითხებზეც. ამის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ ხელი მოაწერონ შემდეგ ხელშეკრულებებს.</p> <p>რამდენიმე ხელშეკრულება /მემორანდუმი შეიძლება ხელმოწერილი იყოს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე და/ან ერთი და იგივე ტერიტორიის ნაწილზე ქარის /მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისთვის, რის შესახებაც ხელშეკრულების /მემორანდუმის ყველა მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს.</p> <p>საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა მოაწეროს ხელშეკრულებას /მემორანდუმს შესაბამისი სამართლებრივი აქტის ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში.</p>

	<p>ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გარანტირების მიზნით, ხელშეკრულების /მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ კერძო ინვესტორი ვალდებულია მთავრობის სასარგებლოდ სამინისტროს წარუდგინოს წინასამშენებლო ან სამშენებლო გარანტია, რომელიც გაცემული უნდა იყოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრების მიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. საბანკო გარანტია წარდგენილი უნდა იყოს ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, მხარეთა შორის შეთანხმებული პირობებით (რაც არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის ხელშეკრულების /მემორანდუმის ხელმოწერიდან 30 დღეს).</p> <p>წინასამშენებლო გარანტია არის საბანკო გარანტია, რომლის თანხაც გამოიანგარიშება ელექტროსადგურის მთლიანი დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) ოდენობით.</p> <p>საბანკო გარანტიის თანხა უნდა იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 5,000 აშშ დოლარი 1 მგვტ-ზე;</li> <li>- 100,000 აშშ დოლარი ყოველი მეგავატისთვის (100 მეგავატის სიმძლავრის ელექტროსადგურის ან ელექტროსადგურების კასკადის შემთხვევაში);</li> <li>- 50,000 აშშ დოლარი ყოველი მეგავატისთვის (100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის ელექტროსადგურის ან ელექტროსადგურების კასკადის შემთხვევაში) ან მისი ეკვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) ოდენობით.</li> </ul> <p>ხელშეკრულება/მემორანდუმი შეიძლება მოიცავდეს წინასამშენებლო და სამშენებლო ფაზებს.</p> <p>ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების შემდგომ, პროექტის განხორციელების მიზნით, კერძო ინვესტორის მოთხოვნის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პროექტის არეალში მოქცეულ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ იმ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შესაბამისი უფლებების კერძო ინვესტორისთვის კანონმდებლობით დადგენილ წესით გადაცემას, რომელიც აუცილებელია პროექტის განხორციელებისათვის, იმ პირობით, რომ პროექტის განხორციელებელი პირის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით/მემორანდუმით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.</p> <p>პროექტის განხორციელების მიზნით, კერძო ინვესტორის მოთხოვნის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს კერძო ინვესტორისთვის საჭირო ლიცენზი(ებ)ის ან ნებართვ(ებ)ის აღებაში მხარდაჭერას, იმ პირობით, თუ კერძო ინვესტორი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აკმაყოფილებს შესაბამის სალიცენზიო თუ სანებართვო პირობებს.</p>
<b>პასუხისმგებელი მხარე</b>	საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
<b>მოთხოვნები</b>	საბანკო გარანტია
<b>რეგულაციები</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დადგენილება № 515 "ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკური ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს", 31 ოქტომბერი, 2018 წ.
<b>მოქმედების ვადა</b>	არ მიესადაგება
<b>მოსაკრებლები</b>	არ მიესადაგება
<b>ვადები</b>	შეთავაზების მიღების შესახებ საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 3 თვის ვადაში.
<b>სტადია</b>	„ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ეტაპები – შემუშავება, განხორციელება, მოვლა-პატრონობა და დემონტაჟი.



[www.vre.ge](http://www.vre.ge)